# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 17 ივლისი 2008 №163 (3387) ფასი 50 თეთრი



ოთარ გაღლაკელიძე საგანგებოდ „სარბიელისთვის“ დიორიდან

## ზესტაფონს არიფი შეხვდა: მძღოლი

თუ გახსოვთ, შარშან ინტერტოტოს თასზე სათამაშოდ ყაზახეთში მიმავალ „ზესტაფონს“ მგზავრობისას პრობლემები შეექმნა. მაშინ თვითმფრინავის დაგვიანების გამო, გუნდს ლამის აეროპორტიდან მოუხდა სტადიონზე მისვლა.

ამ დონის არა, მაგრამ მცირე შეფერხება „ზესტაფონს“ ახლაც ჰქონდა. ვენაში ჩაფრენის მერე დიორში, სადაც დღეს უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონი“ ითამაშებს, ავტობუსით გავემგზავრეთ, ერთ საათში იქ ვიყავით კიდეც, მაგრამ უკვე ქალაქში, ავტობუსის მძღოლს გზა აებნა, სასტუმროს ვერ მიაგნო და ნახევარი საათი გვარიან სიცხეში სტადიონთან დგომა მოგვიხდა.

სტადიონი კი, სადაც დღეს „ზესტაფონი“ ითამაშებს, 20 ათას მაყურებელს იტევს, მაგრამ კლუბმა რეკონსტრუქცია დროულად ვერ დაასრულა და აღმოსავლეთ ტრიბუნის მეორე იარუსზე სკამები არ არის. ამის გამო, თამაშზე, ანშლაგი თუ იქნა, მაქსიმუმ 14 ათასი კაცი მოვიდეს.

მასპინძლები კი გვარწმუნებენ, სტადიონი გაივსებაო, მაგრამ მეეჭვება. საღამოს ქალაქში რომ გავისეირნე, ერთი აფიშაც არ მინახავს...

„ზესტაფონი“ სტადიონიდან ორ კილომეტრში, სასტუმრო „კონფერანსში“ დაბინავდა. სადილი, დასვენება და, საღამოს 20 საათზე თემურ მახარაძემ გუნდი სავარჯიშოდ წაიყვანა.

სტადიონზე რომ მივედით, იქვე, მეორე მოედანზე, „დიორის“ დუბლები თამაშობდნენ და მათ კარში ქართველი ბიჭი, მიხეილ გვაზავა იდგა...

„ზესტაფონის“ ვარჯიშს კი ორმოცდაათამდე კაცი ადევნებდა თვალს და მათ შორის, რა გასაკვირია, მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი და რამდენიმე ფეხბურთელიც იყო.

# ბლომად ცოცხალი დინამოს სუფრაზე

## რუნავიკთან 3:0 თითქმის პანათინაიკოსია



# ვიტ ჯორჯია: მშვენიერ პირობებში, მშვენიერ ხასიათზე

გუშინ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ჩემპიონმა „დინამომ“ იოლად მოუგო ფარერულ „რუნავიკს“, დღეს კი ევროშეჯიბრებაში ქართველი უეფასთასელები ჩაებმებიან.

ვიცე-ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ სლოვაკეთში, ტრნავას „სპარტაკს“ სტუმრობს და ცხადია, იოლი მატჩი არ ელის. ყოველ შემთხვევაში, „სპარტაკი“ „რუნავიკზე“ ძლიერი გუნდი რომ არის, მტკიცება რად უნდა.

თუმცა ვიტელებს, გუშინ რომ შევეხმიანეთ, უიმედობისა არაფერი ეტყობოდათ, ხოლო საბრძოლო განწყობას რამხელა მნიშვნელობა აქვს, სიტყვას არც ამაზე გავაგრძელებთ.

— მატჩისთვის მოსამზადებლად საუკეთესო პირობები გვაქვს — გვითხრა „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელმა ზურაბ ბერიძემ — და, რაც მთავარია, გუნდის თითოეულ ფეხბურთელს საბრძოლო განწყობა აქვს. ტრავმირებულიც არავინ გვყავს. სასტუმრო, კვება, სავარჯიშო პირობები, ყველაფერი ისეთია, როგორიც გვინდოდა. მოედნის საფარი იდეალურია. ჩვენს ვარჯიშს ბლომად ხალხიც დაესწრო და საერთოდაც, გულშემატკივრებში ამ მატჩის მოლოდინი დიდია. მეტი რა გითხრათ, „ვიტ ჯორჯია“ ბოლომდე იბრძოლებს და იმედი გვაქვს, გამარჯვებულებიც დავბრუნდებით.

„ვიტ ჯორჯიას“ საუეფასთასო მატჩს არ ეხება, მაგრამ ესეც ვიტური ამბავია: გუშინ „ვიტ ჯორჯიას“ მეორე გუნდი თბილისში შეკრებაზე მყოფ აზერბაიჯანულ „სიმურგს“ ფრედ, 1:1 ეთამაშა.

გიორგი დარჯანია

# შოთა არველაძე: ამ მომენტისთვის ფინკეს ვემხრობი



„არ ვიცი, რას მიმზადებს ბედი. ძალიან მინდა, კარგი მწვრთნელი დავდგე და ის ადრენალინი გამოვყო, რასაც ფეხბურთელობისას ვიღებდი. ვნახოთ, რა გამოვა" — გვითხრა „ალკმაარის" თავკაც ლუის ვან გაალის თანაშემწე შოთა არველაძემ, რომელიც ამჟამად თბილისშია, **B** ლიცენზიის სამწვრთნელო კურსები გაიარა და ამ დღეებში ჰოლანდიაში გაემგზავრება. შოთა ის კაცია, რომელსაც ვან გაალმა მწვრთნელობაში უკეთესი კარიერა უწინასწარმეტყველა, ვიდრე ფეხბურთელობაში. ასე ფიქრობენ მისი მეგობარი ფეხბურთელებიც... ამ დროისთვის ტყუისცალი მხოლოდ მწვრთნელობით არაა დაკავებული — მას „ძმები არველაძეების ფონდის" საქმიანობაზეც შევეკითხეთ და, ცხადია, საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მუშაობის პერსპექტივაზეც...

— B ლიცენზიის კურსები უკვე გავიარე და 21-22 ივლისს გავემგზავრები „ალკმაარში". უეფადან ველოდები სერთიფიკატს, თუმცა ის პირდაპირ კლუბშიც მოვა, არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც თბილისში ავიღოთ.

**— ოფიციალური მატჩებისას სათადარიგოთა სკამზე ჯდომა A და PRO ლიცენზიითაა ნებადართული...**

— დიახ. A ლიცენზიის კურსებს თბილისშივე, ზამთარში გავივლი და მერე უკვე მექნება სათადარიგოთა სკამზე ყოფნის უფლება.

**— „ალკმაარში" ერთი კვირა იყავი და ვარჯიშებიც ჩაატარე. როგორია მწვრთნელობა?**

— მწვრთნელობა ძნელი პროფესიაა, მაგრამ ძალიან საინტერესო. ჯერ მაინც ახალი ვარ — მინდა, წნეხში ვიყო, უფრო მეტი ქება და კრიტიკა მოდიოდეს. იმედია, ეს დროც მალე დადგება.

**— ანუ, მთავარ მწვრთნელობას გულისხმობ...**

— რა თქმა უნდა. თუმცა იქამდე ადრეა, ჯერ ახლა დავიწყე.

**— ამასწინათ გვითხარი, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბშიც სიამოვნებით იმუშავებდი და ეს ფედერაციის სურვილიცაა...**

— დიახ. თუმცა ამ საკითხზე ვან გაალს უნდა დაველაპარაკო. ფედერაციას სურს, რომ ნაკრების მთავარ მწვრთნელს ერთი თანაშემწე ქართველი ჰყავდეს.

**— და ვან გაალმა, შესაძლოა, უარი გითხრას?**

— არ ვიცი. მაინც უნდა ვუთხრა...

**— სანამ ნაკრების მწვრთნელის საკითხზე გკითხავ, „ძმები არველაძეების ფონდის" საქმიანობაზეც გვითხარი. ზაქარია ბეგლარიშვილის „აიაქსში" წასვლას როდის უნდა ველოდოთ?**

— სავარაუდოდ, აგვისტოში შეუერთდება „აიაქსს" და დუბლებში ითამაშებს. ბეგლარიშვილზე საბუთები ახლახან ჩამოვიდა და ჰოლანდიაში რომ წავალ, წავიღებ. ბეგლარიშვილმა იქ თან უნდა ისწავლოს — ისე არ ტოვებენ ჰოლანდიაში, ცოტა რთული პროცესია. ახლა უკვე მოგვარებულია თითქმის ყველაფერი.

**— დავით დევდარიანის დანიურ „ორჰუსში" გადასვლა?**

— დევდარიანი ძალიან მოეწონა „ორჰუსს" და ვნახოთ, რას შესთავაზებენ თვითონ ფეხბურთელს. პასუხს ველოდებით. „ორჰუსის" ვარიანტში ჩემი აგენტი ივან ბენეში დამეხმარა — ეს კლუბი დანიაში ერთ-ერთი გამორჩეულია სატრამპლინო თვალსაზრისით. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში 13 თუ 14 ფეხბურთელი გაუშვეს ინგლისში, გერმანიასა თუ სხვა ძლიერ ლიგებში. სოლიდური ციფრია.

**— თქვენი ფონდი სამი ახალგაზრდა ქართველის გერმანულ კლუბში მივლინებასაც აპირებს. რომელ მოთამაშეებზე და რა კლუბებზეა ლაპარაკი?**

— ჯერ არ გვინდა ამის დაკონკრეტება. ეს იმავენაირად მოხდება, როგორც დავით თარგამაძე წავიდა „ფრაიბურგში". დევდარიანი მაინც 20 წლის იყო და ერთი წლით გამოსაცდელად მისი გაშვება არ ივარგებდა, თარგამაძე კი 17-ის იყო, როცა „ფრაიბურგში" წავიდა და ნელ-ნელა იხვეწებოდა, 5-6 კილოგრამი მოიმატა, ფიზიკურად მაგარი პროგრესი განიცადა. რაც ბევრი ასეთი ვარიანტი იქნება, ქართველი ფეხბურთელებისთვის უკეთესია.

**— ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს, იმავე თარგამაძეს და ბეგლარიშვილს, კარგად იცნობ. ძნელი შესადარებელია, მაგრამ შენი თაობა უფრო ნიჭიერი იყო ამ ასაკში თუ ახლანდელი?**

— ეს ისეთი კითხვაა, რომც მოვინდომო, ახლანდელ თაობას ვერ მივანიჭებ უპირატესობას. ჩემს თაობაშიც იყო ბევრი მაგალითი: ბავშვობისა და ჭაბუკობის წლებშიც ერთი ფეხბურთელი მეორეზე ბევრად მაგარი ყოფილა, მაგრამ იმ მეორემ უფრო ითამაშა დიდი ფეხბურთი. ნიჭს ზოგჯერ სხვა თვალით ვუყურებთ და გვგონია, რომ გადამწყვეტი სწორედ ნიჭია. მე დავრწმუნდი, რომ ნებისმიერ ფეხბურთელს შეუძლია, ისეთ ასაკში გაიხსნას და ათამაშდეს, როცა მისგან ამას უკვე აღარ ელიან.

**— ახლა ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატებზეც: თუ საიდუმლო არ არის, ვის უჭერს მხარს შოთა არველაძე?**

— ამ მომენტისთვის ფოლკერ ფინკეს. კი, მართალია, თავის დროზე მორტენ ოლსენსა და ვან გაალს უფრო ვუჭერდი მხარს, მაგრამ ისინი გამოირიცხნენ და ახლა ისეთი კანდიდატები დარჩნენ, რომელთა შორის ფინკეს დანიშვნა საქართველოს ნაკრებში ყველაზე სწორად მიმაჩნია.

**— რატომ? არგუმენტი?**

— ფინკემ იცის პატარა გუნდთან მუშაობა — ეს უკვე წონიანი ფაქტორია. გარდა ამისა, ქართველ ფეხბურთელებს სხვაზე უკეთ იცნობს, მათთან უმუშავია. მუშა მწვრთნელია.

**— კი, მაგრამ კვალიფიკაცია? ავრაამ გრანტს და, განსაკუთრებით, ექტორ რაულ კუპერს გაცილებით მეტისთვის მიუღწევიათ...**

— გრანტს ჯერ ისე კარგად არ ვიცნობთ, ვინ იცის, მისი „ჩელსიში" მუშაობა ერთჯერადი წარმატება ხომ არ იყო?! კუპერის კი, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ და აი, რატომ: ერთადერთი გუნდი, რომელშიც კუპერმა ასე თუ ისე დაბლობიდან დაიწყო და მაღალ შედეგს შესწვდა, „ვალენსია" იყო. მას შემდეგ კი, სადაც მივიდა, გუნდის გაკეთება დაავალეს, მაგრამ ვერსად ვერაფერი გააკეთა და გაუშვეს. ამასთან, გასათვალისწინებელია კუპერის სტილი — მისი გუნდები უმეტესად საშინაო მატჩშიც კი 10 კაცით თავიანთ საჯარიმოში იხსნენ. ეს ვერანაირად ვერ ესადაგება ქართული ფეხბურთის თამაშის მანერას. აწყობილი ნაკრები რომ გვყავდეს და დაცვითი ფეხბურთი კარგად ვიცოდეთ, კუპერის კანდიდატურას მართლა ვერ დავიწუნებდი, მაგრამ ხომ გაჩნია, სად მოდის ეს მწვრთნელი, როგორი ფეხბურთი უყვარს და რა ხვდება აქ...

**ილია ნანოგაშვილი**

# სილვა დინამომდე!



**ბრაზილიელი** ნახევარმცველი ჟილბერტო სილვა, რომელიც გასულ სეზონში ლონდონის „არსენალში" თამაშობდა, ათენის „პანათინაიკოსში" გადავიდა და საბერძნეთის ჩემპიონატის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდა.

ბრაზილიელის სანაცვლოდ, „არსენალი" მილიონ გირვანქას მიიღებს, ხოლო ფეხბურთელის ხელფასი წელიწადში 2 მილიონი გირვანქა იქნება.

31 წლის ჟილბერტო სილვამ „არსენალში" ჩატარებულ 170 მატჩში 17 გოლი გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლის შემთხვევაში თბილისის „დინამოს" მეტოქე „პანათინაიკოსი" იქნება.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ერთი შეცვალეს, მეორე შეცვლაზე

**დავით გამეზარდაშვილის** და ვლადიმერ დვალიშვილის „სკონტომ" ამხანაგურ მატჩში ინგლისური „ბლექპული" 4:0 დაამარცხა.

გამეზარდაშვილი „სკონტოს" ძირითად შემადგენლობაში იყო და 71-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო დვალიშვილი თამაშში შესვენების შემდეგ ჩაერთო.

**ლუკა თალაკვაძე**

## ჩემპიონთა ლიგა 2008-2009

**პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები**

**აქტობე (ყაზახეთი) 1:0 შერიფი (მოლდოვა)**
1:0 სმაკოვი (49)

**დროჰედა (ირლანდია) 2:1 ლევადია (ესტონეთი)**
0:1 კინკი (27), 1:1 კაპილი (50), 2:1 კუდოზოვიჩი (69)

**ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 0:2 დინამო (ხორვატია)**
0:1 მანძუკიჩი (19) 0:2 დრპიჩი (90)

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ტორონტო 0:1 ინდეპენდიენტე | დანფერმლაინი 1:0 ჰართსი |
| ატლანტე 3:2 ვაშინგტონი | ექსეტერი 1:1 პორტსმუთი |
| გვადალახარა 1:0 ჰიუსტონი | ჰერეფორდი 1:3 ვულვზი |
| იუვენტუსი 0:1 პიაჩენცა | ესენი 0:1 დორტმუნდი |
| მინესოტა 0:2 ბარნლი | ფრაიბურგი 0:0 მ. ნეთანია |
| გურნიკი 2:3 პლზენი | სოშო 0:0 ბეითარი |
| ლაიპციგი 1:1 ბოჰემიანსი | მონაკო 2:2 ზაგრები |
| გრასჰოპერი 3:1 პარტიზანი | ვეენდამი 0:2 ჰერენვენი |
| ჰამბურგი 1:2 ლიბერეცი | ტრუა 0:4 ბრიუგე |
| გლადბახი 2:1 ვესტ ბრომვიჩი | ექსელსიორი 2:3 დაინცე |
| ოლიანენსე 2:2 ბრისტოლი | დიუსელდორფი 0:0 კიოლნი |
| სლავია (სოფია) 0:1 მიუნხენი | ტინენი 1:3 შეფილდი |
| აპელდორნი 1:0 რუზელარე | ერდრი 1:0 ჰამილტონი |
| ბორდო 1:1 შატორუ | გალვეი 0:2 ლიდსი |
| ბრესტი 0:2 რენი | რილი 0:3 ოლდემი |
| დინამო (ბუქ.) 1:1 გრენობლი | ვეიმუთი 1:2 როვერსი |
| სპარტა 0:0 ფენერბაჰჩე | ბრეი 0:1 მილუოლი |
| პაოკ 0:1 პორტუ | ბარტონი 0:2 დერბი |
| ლუცერნი 1:2 ლივერპული | |

## რუსეთი

**პრემიერლიგა. გადადებული მატჩები**

ლუჩ-ენერგია 0:0 ზენიტი
ამკარი 3:3 ცსკა
რუბინი 0:0 სატურნი

## იაპონია

**ჯეი ლიგა**
**XVII ტური**

საპორო 0:0 ოიტა
კიოტო 2:1 კაშიმა
კობე 1:0 იოკოჰამა
ნიიგატა 2:2 იჩიჰარა
ტოკიო 1:1 გამბა

## შვედეთი

**ალსვენსკა**
**XIV ტური**

ჰალმსტადი 1:2 ელფსბორგი

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა**
**XII ტური**

კტპ 0:2 ტურკუ

## უკრაინა

**ვიშა ლიგა**
**I ტური**

ტავრია 0:0 დნიპრო

## ჩემპიონთა ლიგა 2008-2009

**პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი**

# გაუმზადეთ ბერძნებს სასტუმრო

თბილისი. 16 ივლისი. 18 საათი. ეროვნული. 1 500 მაყურებელი

### დინამო 3:0 რუნავიკი

1:0 გ. კაშია (7), 2:0 გველესიანი (10), 3:0 ოდიკაძე (30პ)

**დინამო:** ოჯონო, შ. კაშია, გ. კაშია, ინწკირველი, ნერგაძე, ოდიკაძე, დიღმელაშვილი, ხმალაძე (თომაშვილი 82), გველესიანი, გ. მერებაშვილი (ვაწაძე 61), აკიეიმი
სათადარიგოები: ლორია; ჯიშკარიანი, ქანთარია, ჯიუსი
**მწვრთნელი:** რაინერ ცობელი

**რუნავიკი:** ტომსენი, პანდერუვიჩი, ო. ჰანსენი, ჰეიჩიჩ (ს. იაკობსენი 81), ნ. სტანკოვიჩი, დავიდსენი, პოტოციკი (ფ. იაკობსენი 46), ელტორი, ჰანსენი, ლოკინი, დალბუდი (ოუსტერსენი 85)
სათადარიგო: არაჯინ
**მწვრთნელი:** პოლ პოულსენი

**გაფრთხილება:** ტომსენი (30), მერებაშვილი (40), ინწკირველი (72), დავიდსენი (84), ტომსენი (90)

**გაძევება:** ტომსენი (90)

**მსაჯები:** ნ. სპასიჩი; ვ. იოვანოვიჩი, ს. მილიჩი; მ. მაჟიჩი (ყველა სერბეთი)

**დამკვირვებელი:** ს. ორმანჯიევი (ბულგარეთი);
**უეფას დელეგატი:** ა. აკელიდისი (კვიპროსი)

**კობა ინასარიძე**

უკვე შეგვიძლია, საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასულად და ბერძნული „პანათინაიკოსის" მეტოქედ ჩავთვალოთ. ჩვენებმა, რომლებმაც ახალი მწვრთნელის ხელში პირველი ოფიციალური მატჩი სწორედ გუშინ ჩაატარეს, მთლად უსახელო და უსუსური ფარერული „რუნავიკი" იქნებ ანგარიშით არა, მაგრამ თამაშით კი მართლაც გაანადგურეს და ახლა ქვეყანა უნდა დაიქცეს, საბერძნეთის ჩემპიონმა თბილისის ნაცვლად ფარერებზე გასამგზავრებელი ბილეთები დაგვაგზავნოს. სხვათა შორის, „რუნავიკთან" შეხვედრას „პანათინაიკოსის" წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და ვეჭვობთ, ჩვენების გვარებისა და ტაქტიკური ამბების გარდა სხვაც რამე ჩაიწერეს... ისე, როგორც ჩვენ...

ან კი რისი თქმა შეიძლება გუნდზე, რომელიც ევროტურნირის მატჩისთვის სულ 14 ფეხბურთელის იმედად იქნება და მეტოქის მეკარეს მხოლოდ ერთხელ, 56-ე წუთზე შეაწუხებს?! ეს „შეწუხებაც" პირობითი ნათქვამია, თორემ იმ ეპიზოდისას დინამოელთა კარს არაფერი დამუქრებია, დიდიე ოჯონომ შემტევებთან ბრძოლისას ბურთი მუშტებით მოიგერია. აი, სულ ეს იყო „დინამოს" მეტოქე და ჩვენებსაც ნუ გაამტყუნებთ, ამ „მეცხვარე-მეთევზეებს" უფრო დიდი ანგარიშით რომ არ მოუგეს.

მატჩის მთავარი ამბები კი საწყისს 10 წუთში მოხდა და მაშინვე გაირკვა, რა გუნდთანაც ჰქონდა საქმე საქართველოს ჩემპიონს.

„დინამომ" შეტევები დაიწყო და გიორგი მერებაშვილსაც თითქმის მსაჯის სასტვენისთანავე შეეძლო თავისიანების დაწინაურება — მცველმა დაასწრო. ერთ-ორ წუთში ისევ მერებაშვილის აქტიურობას კი კუთხური მოჰყვა. დავით ოდიკაძე ჩასაწოდებლად ემზადებოდა. საპირისპირო ფლანგიდან კი თანამსაჯი ისე იქნევდა ალამს, კაი მაგარი დემონსტრანტი გეგონებოდათ. არბიტრიც უმალ მისკენ გაქანდა. აღმოჩნდა, რომ ალამი გამოსაცვლელი იყო, მაგრამ ვიდრე ახალს მოიტანდნენ, ის გაფუჭებული დინამოელთა პერსონალმა შეაკეთა და არბიტრს უკანვე გაატანა... ამ კუთხურს კი გოლიც მოჰყვა. საჯარიმოს წინა ხაზთან ოდიკაძისგან მიღებული ბურთი დავით დიღმელაშვილმა მარჯვენა გვერდ კაშიას გადაუწოდა და მანაც, არცთუ ხელსაყრელი პოზიციიდან, მეკარე ტორუურ ტომსენს აუღებელი დაურტყა.

„დინამომ" შეტევები განაგრძო და მალევე ოლეგ გველესიანმა იყოჩაღა, ვინც კარის გასწვრივ იმავე ოდიკაძის ჩაწოდებულს დროულად დახვდა და გატანა აღარ გასჭირვებია.

მერე თბილისელებმა, ასე ვთქვათ, ტაიმ-აუტი აიღეს, ბურთი გააგორეს და მეტოქესაც მისცეს ნახევრის იქით გადასვლის საშუალება. ფარერელთაგან ლირებული არაფერი გვინახავს. სამაგიეროდ კი, საინტერესო ეპიზოდი „რუნავიკის" კართან ვნახეთ. ბურთიანი მერებაშვილი მეკარეს გასცდა და მის წინ ცარიელი კარიღა იყო, როცა ტომსენმა ჩვენიანი წააქცია. ჩვეულებრივ, ასეთ სიტუაციებში მსაჯები მეკარეს წითელ ბარათს უჩვენებენ ხოლმე, მაგრამ სპასიჩმა სტუმარი დაინდო და მხოლოდ ყვითელი აკმარა. პენალტი ოდიკაძემ გამოიყენა — 3:0.

„რუნავიკი" თბილისში სულ ერთი მეკარით ჩამოსულიყო და ვიფიქრეთ, სერბი არბიტრიც ამად გამოდგა ლმობიერიო, თუმცა... უკვე მატჩის ბოლოსკენ სპასიჩს ტომსენისთვის მიცემული ყვითელი ბარათი გადაავიწყდა და ფარერელთა მეკარე დროის გაყვანისთვის მეორედაც გააფრთხილა. ტრიბუნებიდან დაუსტვინეს და არბიტრსაც გაახსენდა, რომ იქვე ტომსენისთვის წითელიც უნდა ეჩვენებინა. სპასიჩი ცენტრის ხაზიდან კარისკენ გაბრუნდა და მეკარე გააძევა. სტუმართა მეკარემ და მცველმა ჰალგიმირ ელტორმა მაისურები მოედანზე გაცვალეს და მეკარედ მცველი მოგვევლინა, რომელიც ქართველმა ქომაგმა ტაშითაც გაამხნევა...

„დინამოს" მესამე გოლიდან პირდაპირ ტომსენის გაძევების ამბავიც იმად მოვყევით, რომ ამ შუალედში აღსანიშნი არაფერი ყოფილა, „დინამოს" თავი აღარ გამოუდია, თორემ კი ჩანდა, რომ ორისამი ამდენის გამტანი კიდევ იყო...

ერთ კვირაში „დინამო" „რუნავიკს" იქით ესტუმრება, მერე კი „პანათინაიკოსი" იქნება.



ოლეგ გველესიანის (მარჯვნივ) გოლი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო




# ფინკეს ჩამოსვლა



წინა კვირაში ფოლკერ ფინკე ჩამოვიდა და ჩვენი საფეხბურთო ინფრასტრუქტურა დაათვალიერა. მიჩნეულია, რომ იმ ხალხისგან, ვისაც ფედერაცია ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატებად ასახელებდა და ელაპარაკებოდა, ფინკემ ყველაზე კარგად იცის ქართული ფეხბურთი და, ალბათ, გუგლიში ჯორჯიაც ყველაზე მეტჯერ აუკრეფავს.

სხვებს, მგონი, თავისთვის ამგვარი ფუფუნების ნება არ მიუციათ. ან ნაკლებად მიუციათ. არ ვიცი... ყოველ შემთხვევაში, ფინკე ასევე ერთადერთია ნახსენებ კაცთაგან, ვინც ჩამოვიდა და მართლა ინტერესით მოათვალიერა აქაურობა.

იმ ვითარებაში, რომ შემოდგომა ახლოა, ნაკრები კი არ არსებობს, მგონი, მწვრთნელი ფინკე იქნება. არა მხოლოდ იმის გამო, რომ საქმე, ცოტა არ იყოს, გაიწელა.

ყოველ შემთხვევაში, გერმანელი რომ ჩამოვიდა, მთელი თავისი იერით, რეალურ კანდიდატად გამოიყურებოდა და ეტყობოდა, რომ ეს საქმე სურდა.

სიმართლე რომ ითქვას, ნაკრების მომავალ მწვრთნელზე ფიქრი თავიდან საინტერესო იყო, თანდათან კი საკმაოდ მოსაბეზრებელი შეიქნა.

ალბათ, იმის გამო, რომ რამე ფუნდამენტური ცვლილებების მოლოდინი უკვე ძალიან ძნელია. უახლოეს თვეებს ვამბობ, თორემ მერე ეგებ კიდეც შეიცვალოს რაღაც. თუ საქმე ადამიანურად წავა.

საქართველოს ნაკრები შეკრებილი რომ იყოს, ვიტყოდით, კრიზისულია-თქო. მაგრამ, რადგან შეკრებილი არ არის, არც კრიზისულია და არც... საერთოდ, არ ვიცით, როგორია.

ბოლო წელიწადში გუნდმა შოტლანდიის დამარცხებით დაგვამახსოვრა თავი, მაგრამ ეს თამაში სრულიად გადახაზა იმ ვითარებამ, რამაც მისი საბოლოოდ წახდენა გამოიწვია. ეს სქოთების დამარცხებაც ერთი თამაშის ამბავი იყო და არა რაღაც ჯაჭვის ნაწილი — ყმაწვილებმა იმარჯვეს. თუმცა, მოგეხსენებათ, რომ ყმაწვილი წარამარა ვერ იმარჯვებს. იმ თამაშის ალმაფრენამ ჩაიარა და ისევ ჩვენებური ამბავი წავიდა.

მოკლედ, ახლა არ ვიცით, როგორია საქართველოს ნაკრები.

მაგალითად, როგორ ხასიათზე არიან ბიჭები, როცა გონებაში სიტყვა „ნაკრები" წამოუტივტივდებათ. როგორც ბოლო წელიწადს საბოლოოდ გაირკვა, ბიჭების გუნება-განწყობა და სურვილები მთავარი რამე ყოფილა ნაკრებში.

ჰოდა, ახლა, ფინკე რომ ჩამოვიდა, ვიფიქრე, ეს ამბავი ისევ ძველებურად დარჩება, თუ მორიგი გერმანელი საქმეს მიხედავს-მეთქი. ტოპმიოლერის ხელში დიდი ნაციონალური პროექტი ჩავარდა. მგონი, ტოპმიოლერმა არც იცოდა, რომ დიდ ნაციონალურ პროექტში გადამწყვეტი ფიგურა იყო. ახლა არ ვიცი, აწინდელი პროექტი ასეთივე მასშტაბურია, თუ, უბრალოდ, წყნარად უნდა მივყვეთ საქმეს.

მოკლედ, არ ვიცი.

საერთოდ ვერ ვხვდები, რა იქნება წინ. აი, ვერ წარმომიდგენია.

ფინკეც არ ვიცი. ვიცი, რომ ქართველები უყვარს და თავის პატარა კლუბში ჰყავდა ხოლმე და თანაც არაერთი. მეტი მე ამ ფინკესი არაფერი ვიცი, იმის გარდა, რომ „ფრაიბურგი" ლამაზად უტევდა, გავარდნა არ უნდოდა ხოლმე და საერთოდ, კოხტა ქალაქია ეს ფრაიბურგი.

ჰოდა, მგონი, ყველა რაღაც გაურკვევლობაში ვართ. ფინკე, გრანტი... აი, ასე უცებ ველარც ვიხსენებ, კიდევ ვინ.

გავარკვიოთ, თორემ აგვისტო მკვდარია, კურორტის დროა...

# ვინ სად როგორ


ვაჟა თარხნიშვილი

**ჩემპიონთა** ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველთა გუნდებიც ჩაებნენ, თუმც ჩვენებურთაგან გოლით ვერავინ გამოირჩა.

მეორე ეტაპზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეს ნუკრი მანჩხავასა და აკაკი ხუბუტიას „კაუნასს", რომელმაც სტუმრად 4:1 მოუგო „სანტა კოლომას".

მანჩხავამ 90 წუთი ითამაშა.

62-ე წუთზე შეცვალეს „ლანელთან" სტუმრად 0:1 წაგებულ მატჩში ვენტსპილსელი ზურაბ მენთეშაშვილი, რომელმაც მანამდე გაფრთხილების მიღებაც მოასწრო.

„ვენტსპილსი" და მენთეშაშვილი მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს ინარჩუნებენ.

შინ 1:0 მოუგო სომხურ „პიუნიკს" თემურ ქეცბაიას გაწვრთნილმა „ანორთოსისმა", რომლის ძირითადში დაიწყო თამაში კლიმენტი წიტაიშვილმა. ქეცბაიამ თანამემამულე 56-ე წუთზე შეცვალა.

სტუმრად ითამაშა ვაჟა თარხნიშვილის „შერიფმა" და 0:1 დამარცხდა ყაზახურ „აქტობესთან".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რუსულ-ქართული სიმშრალე

**გუშინ** რუსეთის პრემიერლიგაში გადადებული მატჩები გაიმართა.

ლევან გვაზავას „ლუჩ-ენერგიამ" ჩემპიონ „ზენიტს" უმასპინძლა და 0:0 ეთამაშა.

გვაზავამ სრულად ითამაშა და მეკარე მარეკ ჩეხთან ერთად გუნდში ყველაზე მაღალი შეფასება (6,0) დაიმსახურა.

ყაზანის „რუბინმა" კი რამენსკოეს „სატურნს" უმასპინძლა და ისინიც უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

დავით კვირკველიამ სრულად ითამაშა და გააფრთხილეს, ლაშა სალუქვაძე სათადარიგო იყო, მეკარე ნუკრი რევიშვილი კი სარეზერვო გუნდში გაისარჯა და ამ მატჩის განაცხადში არ იყო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გიგიაძის წარდგენა




**გუშინ** უკრაინის ჩემპიონატი დაიწყო და ჩვენებურთაგან საქმეში მხოლოდ ვასილ გიგიაძე ჩაება. მისმა „ტავრიამ" ჯაბა კანკავასა და სანდრო კობახიძის „დნიპროს" უმასპინძლა და 0:0 ეთამაშა.

ახალგამოჯანმრთელებულ დნიპროელ ქართველებს არ უთამაშიათ. როგორც სანდრომ გვითხრა, სავარაუდოდ, მეორე ტურის მატჩს დუბლებში ჩაატარებენ. რაც შეეხება გასინჯვაზე მყოფ ბექა ბერაშვილს, „დნიპროში" მისი დარჩენა ჯერ არ გადაწყვეტილა.

ერთიც, გიგიაძე გუშინდელი მატჩის წინ ოფიციალურად წარუდგინეს გულშემატკივრებს და 20-ნომრიანი მაისურაც გადასცეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სიონი კაკაშვილს და დავითაშვილს ელის

**ბოლნისის** „სიონი" გრიგოლეთში ჩავიდა. რამდენიმე დღის წინ მწვრთნელ ოთარ კორღალიძის ჩამოთვლილ სიას სამი ფეხბურთელი აკლია — მეკარე ზურაბ მამალაძე, ნახევარმცველი ლევან შავგულიძე და თავდამსხმელი ბორის გონჩაროვი.

შავგულიძეს ტრავმა აქვს, მამალაძეს კონტრაქტის პირობები დარჩა გასარკვევი, გონჩაროვი კი „სიონს" გაეცალა. როგორც შევიტყვეთ, დღეს გრიგოლეთში გუნდს ორი ყოფილი ამერელი — ვლადიმერ კაკაშვილი და სულიკო დავითაშვილი — ჩააკითხავს.

ბოლნისელები დღეს ზღვისპირა კურორტზე პირველ ტესტ-მატჩს გამართავენ — მეტოქე თბილისის „ლოკომოტივი" იქნება.

**ლუკა თალაკვაძე**

# სეთურიძე გერმანიიდან ნასწავლი დაბრუნდა

რუსთავის „ოლიმპმა" თითქმის დაასრულა დაკომპლექტება და 18 ივლისს ურეკში წავა შეკრებაზე. რუსთავული კლუბის ხელმძღვანელები კარგა ხანს საუბრობდნენ იენის „კარლ ცაისიდან" გიორგი სეთურიძის შემატების თაობაზე და გუშინწინ სეთურიძემ ცხინვალის „სპარტაკთან" ამხანაგურ მატჩში (2:0) ითამაშა კიდეც. გიორგის გუშინ გავესაუბრეთ...

— ჩემთვის ამ ეტაპზე სჯობდა, საქართველოში დავბრუნებულიყავი. ახლა სათამაშო პრაქტიკა მჭირდება და ვეცდები, „ოლიმპში" სისტემატურად ვითამაშო და ძველი ფორმა დავიბრუნო.

— **„კარლ ცაისიდან" თავისუფალი ხარ?**

— ყველაფერი მოვაგვარე და „ოლიმპთან" ერთწლიანი კონტრაქტიც გავაფორმე.

— **გერმანიაში საქმეები არ აგეწყო — იქ ჩასულმა მალე ტრავმა მიიღე...**

— სულ სამი მატჩის ჩატარება მოვასწარი და მუხლი ვიტკინე. სარეაბილიტაციო პერიოდმა საკმაო ხანს გასტანა. ამ უთამაშებლობამ კი ფორმიდან ამომაგდო და გუნდში ჩაჯდომა გამიჭირდა.

— **გერმანიაში გატარებულმა დრომ რა მოგცა?**

— ბევრი რამ ვისწავლე. ჩვენთან შედარებით იქ გაცილებით მაღალი დონეა და გამოცდილებაც მივიღე. მეორე ბუნდესლიგაში თითქმის ყველა ერთი დონის გუნდია და ჩემპიონატიც ძალიან დაძაბულია. მაღალი დონე რომ არის, „კარლ ცაისის" გერმანიის თასის მეოთხედფინალში გასვლამაც დაადასტურა.

— **„ოლიმპში" დაბრუნდი და „სპარტაკთანაც" ითამაშე. რას იტყვი დღევანდელ „ოლიმპზე"?**

— ძალიან გახარებული ვარ, ასეთი კარგი გუნდი რომ დამხვდა. ყველა რგოლში ნორმალურად ვართ დაკომპლექტებული და, ვფიქრობ, მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.

— **როგორ ფიქრობ, მთავარი კონკურენტები ვინ იქნებიან?**

— ჯერ გარკვეული არ ვარ, თუმც ალბათ „ზესტაფონთან" და „დინამოსთან" მოგვიწევს ჭიდილი.




**ნუკრი ლოლაძე**

# ლოკომოტივმა კახელიშვილი შეიმატა და კოლხეთს მოუგო


გიორგი კახელიშვილი

**თბილისის** „ლოკომოტივი" ერთი კვირაა, ურეკშია შეკრებაზე, ტესტ-მატჩიც გამართა პირველლიგელ ფოთის „კოლხეთთან" და 4:2 მოუგო.

თბილისელებმა რუსთავის „ოლიმპის" ნახევარმცველი გიორგი კახელიშვილი შეიმატეს და მე-15 წუთზე ზღვისპირელებს სწორედ მან გაუტანა პირველი გოლი.

რამდენიმე წუთში ირაკლი სამხარაძემ იხეირა, ტაიმის მიწურულს მეორე ირაკლი ჩირიკაშვილმაც გაიტანა, 75-ე წუთზე კი დავით ჩაგელიშვილმა შეაგდო.

„ლოკომოტივმა" ტაიმები სხვადასხვა შემადგენლობით ითამაშა. აქვე გვინდა, ვთქვათ, რომ გუნდს დაუბრუნდა ზვიად ჩხეტიანი, რომელიც ცოტა ხნის წინ ზაქათალის „სიმურგში" ისინჯებოდა, თუმც ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდა.

პირველ ტაიმში გიორგი კიკნაძემ ეს ფეხბურთელები ათამაშა: *ბათიაშვილი, გუშარაშვილი, ფარულავა, სარალიძე, დ. ფოფხაძე, ზ. ჩხეტიანი, ჩირიკაშვილი, ი. სამხარაძე, გ. ჭელიძე, კახელიშვილი, ალექსიძე.*

*მეორე ტაიმი: ბოჭორიშვილი, მიქაძე, ლ. გრიგალაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, შალიკაშვილი, ქურდაძე, ბარბაქაძე, ა. კობიაშვილი, ქუხილავა, დ. ჩაგელიშვილი, ბახტაძე.*

*„კოლხეთი": გ. შენგელია, გ. კილასონია, დ. ნარსია (წიქარიშვილი 46), თურქია, გოგნაძე, ქომეთიანი, გვიჩია (ცქვიტარია 36), ჩიკოლია, გელაჭეიშვილი (ლემონჯავა 55), ჭკადუა, ბაკარანძე (გვალია 65).*

ფოთელთაგან თავი გელაჭეიშვილმა (25-ე წუთზე პენალტით) და ლემონჯავამ (74) გამოიჩინეს.

„ლოკომოტივი" დღეს ბოლნისის „სიონს" გაეჯიბრება, 20 ივლისს საჩხერის „ჩიხურასთან" აქვს დაგეგმილი ტესტ-მატჩი, 21-ში კი თბილისში დაბრუნდება.

**ნუკრი ლოლაძე**

# შალკეს მწარედ ეხუმრნენ

**ლევან კობიაშვილისა** და ლევან ყენიას „შალკემ" ქვედალიგელ „ვუპერტალთან" საკონტროლო მატჩი გამართა და 0:3 განადგურდა.

კობიაშვილმა სრულად ითამაშა, ყენია კი 62ე წუთზე გროსმიულერის ნაცვლად შევიდა მოედანზე და ორი სახიფათო მომენტიც შექმნა, თუმცა „ვუპერტალის" მეკარე მალის ველარ აჯობა.

19 ივლისს გელზენკირხენული კლუბი ამხანაგურ მატჩში შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსს" გაეჯიბრება.

**კახა ზალამბერიძე**

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის განვითარების პროგრამა. კითხვარი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ერთობლივად მუშაობენ ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე. ჩვენი სურვილია, დაინტერესებულმა პირებმა მაქსიმალურად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. გამოთქვან საკუთარი აზრი და მსურველებმა წარმოადგინონ პროგრამის საკუთარი ვარიანტი.

ამასთან დაკავშირებთ, გთავაზობთ კითხვარს. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პროგრამისა და შენიშვნების ავტორს მოეთხოვება ახსნა:

1. რა არის მისი პროგრამის შექმნის მიზეზი და რა აუცილებელი პირობების შექმნაა საჭირო პროგრამის უზრუნველსაყოფად.
2. პროფესიულ საქმიანობაში რა კონკრეტული პრობლემა აწუხებს ყველაზე მეტად და რომელი მათგანის გადაჭრაა აუცილებელი.
3. კონკრეტულად რა არ აკმაყოფილებდა მოქმედ პროცესში. რა სურს შეცვალოს და როგორ?
4. პროგრამაზე მუშაობისას კონკრეტულად რა ახალი შედეგები იქნა მიღებული. რა მიზანი აქვს და რა შედეგს მოგვცემს მისი რეალიზაცია?
5. ფეხბურთის განვითარების მოცემულ ეტაპზე რომელ კონკრეტულ ამოცანას წყვეტს პროგრამა?
6. რომელი არატრადიციული ხერხები გამოიყენება პროგრამაში და როგორ?
7. რა კრიტერიუმით ხდება ფეხბურთელის განვითარების შეფასება? როგორია შეფასების ეს სისტემა?
8. რაში მდგომარეობს სიახლის თავისებურება და ორიგინალობა? რით განსხვავდება ის ძველისგან?
9. რომელ თეორიულ დებულებასა და სამეცნიერო-კვლევით შედეგებს ეყრდნობა საავტორო პროგრამა?
10. მიუთითეთ გამოყენებული ლიტერატურა.

გთხოვთ, თქვენი იდეები მოგვაწოდოთ ფეხბურთის ფედერაციაში ან გამოგვიგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე GFF@GFF.GE 2008 წლის 1 სექტემბრამდე.


დავიდ ტრეზეგე

# დავიდი დაბრუნდება, თუ გოლიათს მოხსნიან

**ერთი** კვირის წინ ნაკრებიდან „გადამდგარი“ დავიდ ტრეზეგე ეროვნულ გუნდში დაბრუნებაზე იფიქრებს, თუ რაიმონ დომენეკს მოაშორებენ.

„იუვეს“ ფორვარდმა ათი წელი შეალია ნაკრებს, მაგრამ დომენეკის დანიშვნის დღიდან მწვრთნელს თვალში არ მოსდიოდა.

ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩებში რამდენჯერმე არ გამოიძახა და ფეხბურთელი მაშინვე სანაკრებო კარიერის დასრულებაზე ალაპარაკდა.

მარტში ტრეზეგეს ინგლისთან ამხანაგური შეხვედრისთვის უხმეს, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე მაინც არ წაიყვანეს.

საფრანგეთი ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა და დომენეკის მოხსნას ელოდნენ, თუმც ფედერაცია ენდო და კონტრაქტი ორი წლით გაუხანგრძლივა.

ამის შემხედვარე ფორვარდმა ჩათვალა, რომ რაიმონ დომენეკის ხელში შანსი არ ექნებოდა და ნაკრებზე უარი თქვა.

„ეკიპთან“ საუბარში 30 წლის დავიდ ტრეზეგემ გაამხილა, რომ მისი გადაწყვეტილება საბოლოო არაა და შეიძლება, გადაიფიქროს: „თუ ვითარება შეიცვლება და დომენეკი წავა, ნაკრებში სიამოვნებით დავბრუნდები, რადგან ეროვნულ გუნდში თამაში ნებისმიერი ფეხბურთელის სურვილია“.

ტრეზეგეს წასვლამ ემანუელ პეტი გააბრაზა და დომენეკს შეუტია. მანამდე ფედერაცია და მწვრთნელი კრისტოფ დუგარიმ და იური ჯორკაეფმა გაჯორეს.

„ტრეზეგე ცამდე მართალია — თქვა პეტიმ — არ შეიძლება იმაზე თვალის დახუჭვა, რომ ჩვენი ნაკრები ჩემპიონატზე ჩაფლავდა. რაც ფედერაციამ ჩაიდინა (დომენეკისთვის კონტრაქტის გაგრძელება), თვალთმაქცობაა. მათგან ერთიც კი არასოდეს ყოფილა მოედნაზე და არ იციან, რეალურად რა ხდება გუნდში. ზოგიერთს სარკეში ჩახედვისას უნდა რცხვენოდეს საკუთარი საქციელის გამო“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რონალდუსთვის ჯაჭვს ეძებენ


კრიშტიანუ რონალდუ

**პორტუგალიის** ნაკრების ფიზიოთერაპევტმა ანტონიო გასპარმა განაცხადა, რომ კრიშტიანუ რონალდუ 4 აგვისტომდე მანჩესტერში ვერ დაბრუნდება.

„დეილი მირორი“ ვარაუდობს, რომ ამან ფერგიუსონსა და ფეხბურთელს შორის ურთიერთობა, შესაძლოა, კიდევ უფრო წაახდინოს.

მწვრთნელს სურს, რომ რონალდუ ინგლისში 28 ივლისს გამოცხადდეს, რათა პირისპირ ესაუბროს დახვავებულ პრობლემებზე.

„ოპერაციის შემდეგ დაახლოებით ოთხი კვირა ლისაბონში ჩვენს კლინიკაში უნდა გაატაროს და სარეაბილიტაციო კურსი გაიაროს. ერთი თვის მერე კი „მანჩესტერის“ ექიმები გასინჯავენ“ — ბრძანა გასპარმა.

„სანის“ ცნობით კი, „მანჩესტერიდან“ წასული კარლუშ კეირუშის ადგილს კრიშტიანუ რონალდუს ყოფილ თანაგუნდელს, ამჟამად „სპორტინგის“ თავკაცს პაულუ ბენტუს სთავაზობენ.

გაზეთი წერს, რომ თვით ალექს ფერგიუსონი ცდილობს პაულუ ბენტუს გადაბირებას და თანამშრომლობაზე დაყაბულებას. ამ ხერხით, ალბათ, კრიშტიანუ რონალდუს „დაბმას“ აპირებენ, რომელიც „რეალისკენ“ გარბის.

39 წლის პორტუგალიელს რეკომენდაცია კარლუშ კეირუშმა გაუწია. ბენტუ ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მწვრთნელად ითვლება თავის სამშობლოში და „სპორტინგს“ სამჯერ თასი მოაგებინა.

თანამშრომლობის სხვა კანდიდატები პაკო აიესტერანი და ლორან ბლანი არიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# საფეხბურთო ლეგენდები

**გიორგი კაკაბაძე**

## ლეგენდა №48

## ფრანტიშეკ პლანიჩკა

ჩეხეთს კარგი მეკარეები ყოველთვის ჰყავდა, მაგრამ მათ შორის საუკეთესოდ ლეგენდარული ფრანტიშეკ პლანიჩკაა მიიჩნეული. ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით, იგი XX საუკუნის უძლიერეს გოლკიპერთა შორის მეცხრე ადგილზეა.

1904 წლის 2 ივნისს პრაღაში დაბადებული პლანიჩკა თავისი ეპოქის საუკეთესო მეკარედ მიიჩნევა. კარიერის განმავლობაში მას უამრავი ტიტული აქვს მოპოვებული.

ამ მეკარემ ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ღირსება 1926-1938 წლებში 73 მატჩში დაიცვა, აქედან 37-ჯერ — კაპიტნის რანგში. პრაღის „სლავიაში“ გატარებულ 16 წელიწადში კი კლუბის მაისურა 969-ჯერ მოირგო, მათ შორის 742 მატჩი კაპიტანი გახლდათ.

პლანიჩკა სიმაღლეში მხოლოდ 172 სანტიმეტრი იყო, მეკარეების საზომით თითქოს ძალიან დაბალი, მაგრამ ეს ბრწყინვალე თამაშში ხელს არ უშლიდა. აკრობატული ნახტომებისა და გამორჩეული სტილის გამო მას „პრაღის კატა“ შეარქვეს. გარდა ამისა, იგი სამაგალითო სპორტსმენი გახლდათ — კარიერის განმავლობაში არცერთხელ არ გაუძევებიათ.

1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩეხოსლოვაკიამ პლანიჩკას კაპიტნობით სძლია რუმინეთს, შვეიცარიასა და გერმანიას. ფინალში კი მასპინძელ იტალიასთან დამარცხდა, რომელსაც იმ ეპოქის ასევე ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ჯამპიერო კომბი კაპიტნობდა. მართალია, ჩეხოსლოვაკია იგებდა, მაგრამ „სკუადრა აძურამ“ ანგარიშის გათანაბრება და დამატებით დროში გამარჯვების გოლის გატანაც შეძლო. მსაჯმა კი აპენინელთა სასარგებლოდ რამდენიმე საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო.

მიუხედავად მარცხისა, პლანიჩკამ საოცრად ითამაშა და იგი მატჩის გმირად აღიარეს. იტალიელთა ქომაგების გარკვეულმა ნაწილმა იგი ხელშიც კი აიტაცა. აპენინურმა პრესამ კი ჩეხი ცნობილი პერსევსის ქანდაკებით დააჯილდოვა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ამ ჯილდოს დროულად გადაცემა ვერ მოხერხდა და პლანიჩკა მას 30 წელიწადს ელოდა.

1964 წელს ფლორენციაში იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებების შეხვედრის შემდეგ, ფრანტიშეკი რომში მიიპატიჟეს და იქ მრავალი მეგობრის თანდასწრებით გადასცეს ჯილდო.

პლანიჩკა კაპიტნობდა ნაკრებს 1938 წლის მუნდიალზეც. პირველ ეტაპზე ჩეხოსლოვაკია ჰოლანდიას გაცდა, მერე კი ბრაზილიას შეხვდა და ეს დაპირისპირება ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია მსოფლიოს ჩეპიონატების ისტროიაში.

12 ივლისს ბორდოში გამართული მატჩი „ბორდოს ბრძოლის“ სახელითაა ცნობილი. იმ შეხვედრაში ერთი ჩეხოსლოვაკიელი და ორი ბრაზილიელი ფეხბურთელი გააძევეს მინდვრიდან. ორივე ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელმა კი სერიოზული ტრავმა მიიღო.

ანგარიში 1:1 იყო, როცა ჩეხოსლოვაკიელთა ფორვარდმა ოლდრჟიხ ნეიედლიმ ფეხი მოიტეხა, ხოლო თავად პლანიჩკამ — ხელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მინდვრიდან არ გასულა, ტკივილს გაუძლო და მატჩი, რომელშიც დამატებითი დრო დაინიშნა, სრულად ჩაამთავრა. ეს მისი ბოლო თამაში გახლდათ ნაკრებში.

ისე შეხვედრა 1:1 დასრულდა და ორი დღის მერე, გადათამაშება დაინიშნა, რომელშიდაც ჩეხოსლოვაკია ამ ტრავმირებული პლანიჩკასა და თავდამსხმელების — ნეიედლისა და ანტონინ პუჩის გარეშე 1:2 წააგო.

პლანიჩკა 1996 წლის 20 ივლისს პრაღაში გარდაიცვალა. იმ დღეს ჩეხ ფეხბურთელ კარელ პობორსკის „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა, მაგრამ ეს პლანიჩკას ხსოვნის საპატივცემულოდ გადადო. 1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გასული ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ფეხბურთელებიდან „პრაღის კატამ“ ყველაზე დიდხანს იცოცხლა.

## ლეგენდა №49

## რეკორდსმენი დონატო

რიო დე ჟანეიროში 1962 წლის 30 დეკემბერს დაბადებული დონატო გამა და სილვა, უბრალოდ დონატოდაა ცნობილი. ბრაზილიელი ფიზიკურად საოცრად ძლიერი მცველი, ამავდროულად, საკმაოდ ტექნიკური გახლდათ და მეტოქის იერიშების ჩაშლის გარდა კარგად ეხერხებოდა შეტევებში ჩართვაც. თამაშობდა ცენტრალურ ნახევრამცველადაც.

მისი კარიერა „ვასკუ და გამაში“ დაიწყო. 1988 წელს კი მადრიდის „ატლეტიკოში“ გადაბარგდა, სადაც ოთხი სეზონი გაატარა და „დეპორტივოს“ მიაშურა. სწორედ ლაკორუნიელთა რიგებში მოიხვეჭა მან პოპულარობა — „დეპორის“ რიგებში 11 წელი დარჩა და კარიერა 40 წლის ასაკში დაასრულა.

1994 წელს მან ესპანეთის მოქალაქეობა მიიღო და რადგან ბრაზილია არ იწვევდა, „ფურია როხას“ ღირსება დაიცვა. 1994-1996 წლებში მან ესპანეთის ნაკრებში 12 მატჩი ჩაატარა.

პრიმერადივიზიონში გატარებული 15 სეზონში მან 49 გოლი გაიტანა. აქედან ერთი — 2002 წელს და 43-წლიანი რეკორდი დაამხო, გახდა რა ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი (39 წლის), რომელმაც ესპანეთის ჩემპიონატში გოლი გაიტანა.

მას კიდევ ერთი რეკორდი ეკუთვნის. დონატოს პრიმერადივიზიონში 466 მატჩი აქვს ჩატარებული, ანუ ყველაზე მეტი ესპანეთის ფარგლებს გარეთ დაბადებულ ფეხბურთელებს შორის.

## ლეგენდა №50

## საოცარი გამარჯვება

1999 წლის 18 სექტემბერს მიუნხენის „ბაიერნმა“ ბუნდესლიგისა და ზოგადად ფეხბურთის ისტორიაში ალბათ ერთ-ერთ ყველაზე უცნაურ და საოცარ გამარჯვებას მიაღწია.

ბუნდესლიგის მეხუთე ტურში „ბაიერნი“ ფრანკფურტის „აინტრახტს“ ესტუმრა და პირველი ტაიმი 0:1 წააგო. 52-ე წუთზე კი მასპინძელთა ფეხბურთელმა იან ოგე ფიორტოფტმა პენალტი ვერ გამოიყენა — ოლივერ კანმა აუღო.

შეხვედრის 55-ე წუთზე კანი დაშავდა და იგი ვეტერანმა მეკარემ ბერნდ დრეერმა შეცვალა. თუმცა 62-ე წუთზე დრეერიც დაშავდა. „ბაიერნს“ კი მეტი მეკარე განაცხადში არ ჰყავდა და ოტმარ ჰიცფელდმა დრეერი ნახევრამცველით, მიხაელ ტარნატით შეცვალა.

მიუხედავად ამისა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, „ბაიერნმა“ მატჩის შემოტრიალება შეძლო. 66-ე წუთზე ჯოვანე ელბერმა ანგარიში გაათანაბრა, ხოლო მე-80 წუთზე სემიუელ ოსი კუფურმა გამარჯვების გოლი შეაგდო. ტარნატი კი მიუნხენელთა კარს საიმედოდ იცავდა და გოლი არ გაუშვია.

# რონალდინიოს ბარსელონურ-მილანური საგის დასასრული



რობერტო დე ასისი, რონალდინიო და ადრიანო გალიანი

**რონალდინიო** მილანელია! როგორც იქნა, საშველი დაადგა ამ ტრანსფერს. ბრაზილიელი თავდამსხმელი ოთხშაბათ დილით ჩაფრინდა მილანში, სამედიცინო შემოწმება გაიარა და „როსონერისთან" ყველაფერი შეათანხმა.

ამბობენ, „ბარსელონა" „მილანისგან" 18,5 მილიონ ევროს მიიღებსო. შეგახსენებთ, რომ 28 წლის ფეხბურთელში „მანჩესტერ სიტი" 32 მილიონს იხდიდა, მაგრამ კატალონიურმა კლუბმა რონალდინიოს სურვილი გაითვალისწინა და „როსონერის" გაურიგდა.

ბრაზილიელი ვარსკვლავი 2011 წლის 30 ივნისამდე „მილანის" საკუთრებაა. გავრცელებული ცნობით, იგი სეზონში 6,5 მილიონ ევროს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ რონალდინიომ „ბარსელონაში" 5 წელი გაატარა და 145 მატჩში 70 გოლი გაიტანა.

რონალდინიო: „როგორც იქნა, „მილანის" ფეხბურთელი ვარ. ვწუხვარ, რომ ამ ტრანსფერს დიდი დრო დასჭირდა, მაგრამ ყოველთვის „როსონერიში" გადასვლა მინდოდა და ეს ფაქტებით დადასტურდა კიდეც. არა მგონია, „ბარსელონაზე" სალაპარაკოდ შესაფერისი დრო იყოს. უბრალოდ, მინდა, ჩემი ცხოვრების ამ ახალი თავგადასავლით სიამოვნების მიღება დავიწყო. პირობას ვიძლევი, რომ თავდაუზოგავად ვიშრომებ".

„მნიშვნელოვანია, რომ გუნდში უმაღლესი კლასის ფეხბურთლები იყვნენ და რონალდინიო სწორედ ასეთია. ჩვენ ძველებური „საახალწლო ნაძვისხის" სისტემით, 4-3-2-1-ით ვითამაშებთ. ამ სქემამ წარსულში ბევრი წარმატება მოგვიტანა და იმედია, მომავალშიც ასე იქნება. რონალდინიო ითამაშებს თუ არა, ტაქტიკა თითქმის ყოველთვის ანალოგიური იქნება. ჩვენი მიზანი კარგი ფეხბურთის ჩვენებით მატჩების მოგებაა — ეს „მილანია". ჩემპიონთა ლიგის მიღმა ყოფნა რთული შესაგუებელია, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რათა ამ ტურნირს რაც შეიძლება მალე დავუბრუნდეთ და, ცხადია, სკუდეტოსთვის ვიბრძოლებთ — განუცხადა „გაძეტა დელო სპორტს" „როსონერის" 49 წლის მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

იტალიის პრემიერმინისტრი და „მილანის" მფლობელი სილვიო ბერლუსკონი: „ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ბარსელონიდანვე დამირეკა და მითხრა, რონალდინიო ჩვენია. იმედია, ახლა ყველა ფანი, რომელიც სერიოზულ ტრანსფერს და კერძოდ, რონალდინიოს ყიდვას მოხოვდა, კმაყოფილი და ბედნიერია".

რონალდინიო „მილანში" 11 ან 20 ნომერ მაისურას მოირგებს. კლარენს ზეედორფმა, რომელსაც რონი, სავარაუდოდ, ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდებს, ბრაზილიელს 10 ნომერი არ დაუთმო.

ვეტერან ჰოლანდიელს უთქვამს — მე რომ „მილანში" მოვედი, 10 ნომერი მანუელ რუი კოშტას ეცვა და ამ მაისურის მისაღებად ლოდინი დამჭირდა, ახლა კი რონალდინიომაც კეთილი ინებოს და დაიცადოსო.

წინასწარი ინფორმაციით, ანჩელოტი ბრაზილიური შემტევი ტრიოთი აპირებს თამაშს. წინწაწეული ახალგაზრდა ალეშანდრე პატო იქნება, ცოტა უკნიდან კი მას კაკა და რონალდინიო დაეხმარებიან.

კაკა უალტერნატივოა, ხოლო რონალდინიოს კონკურენტი, როგორც ალვნიშნეთ, ზეედორფი იქნება. რაც შეეხება ცენტრფორვარდს, ამ პოზიციაზე „როსონერის" ვეტერანი ფილიპო ინძაგი და „ჯენოადან" დაბრუნებული მარკო ბორიელოც ჰყავს. „სუპერპიპოს", ალბათ, ძირითადად ისევ სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ჯდომა, აი, ბორიელოს ბედი კი ჯერ უცნობია. მისმა აგენტმა თქვა, ჩემს კლიენტს რეზერვისტობა არ უნდა და ეგებ ისევ სხვა გუნდში გადასვლაზე ვიფიქროთო.

ახალგაზრდა ალბერტო პალოსკის კი „მილანი", სავარაუდოდ, გაანათხოვრებს. ამჟამად მის ხელში ჩაგდებასთან ახლოს „სამპდორია" და „რეჯინა" ყოფილან.

აქვე ალვნიშნოთ, რომ „სან სიროს" ბინადრებმა 25 წლის არგენტინელი მცველი ლეანდრო გრიმი დაახლოებით 2,7 მილიონ ევროდ ლისაბონის „სპორტინგში" გაყიდეს. მან პორტუგალიურ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და თუ მომავალში „სპორტინგი" გრიმის გაასხვისებს, „მილანი" ამ ტრანსფერის ღირებულების 35 პროცენტს მიიღებს.

**გიორგი ძაძამიძე**

# ჩემპიონები ულვაშით

## არაგონესმა ბიჭებს დელ ბოსკე დაუბარა



ვისენტე დელ ბოსკე

**ვისენტე დელ ბოსკე** ოფიციალურად გახდა ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ევროპის ჩემპიონების თავკაცს მედიას დღეს წარუდგენენ.

ჯერ კიდევ მარტში გაამხილა მან, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გუნდს ლუის არაგონესისგან ჩაიბარებდა, მაგრამ ქაღალდები გუშინწინ საღამოს გაფორმდა.

„პრეზიდენტ ანხელ მარია ვილიარის წინადადება დელ ბოსკეს მწვრთნელად დანიშვნაზე, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა" — ნათქვამია განცხადებაში.

„დარწმუნებული ვარ, რომ საქმეს კარგად გაუძღვება. ისაა მწვრთნელი, რომელსაც არაერთი ჯილდო მოუგია. ვიმედოვნებ, ყველა გვერდში დაუდგება და ფეხბურთელებიც, როგორც მე დავარიგე, დაეხმარებიან, რათა კიდევ მოუტანონ ესპანეთს დიდი სიხარული" — ბრძანა ლუის არაგონესმა რამდენიმე დღის წინ.

57 წლის ვისენტე დელ ბოსკე სალამანკაშია დაბადებული. ფეხბურთელობისას საყრდენი ნახევარმცველი იყო. კარიერა მადრიდის „რეალში" დაიწყო და მეორე გუნდში ორი წელი (1969-1971) ითამაშა. მერე ერთი სეზონი „კორდობაში" გაატარა და ამდენივე — „კასტელიონში".

1973-დან „რეალში" დაბრუნდა და 11 წელი შეალია. საკლუბო კარიერის 441 მატჩში 30 გოლი გაიტანა, ნაკრების მაისურა კი 18-ჯერ მოირგო და ერთი გოლით გამოიჩინა თავი. მას ევროპის 1980 წლის ჩემპიონატზეც უთამაშია. ხუთჯერ გახდა პრიმერადივიზიონის ჩემპიონი და ოთხჯერ „სამეფო თასის" მფლობელი.

დელ ბოსკე ორჯერ იყო მადრიდის „რეალის" დროებითი თავკაცი: 1994 წელს 11 ტურის განმავლობაში, 1996-ში კი მხოლოდ ერთი მატჩით.

1999 წელს ჯონ ტოშაკის წასვლის შემდეგ კლუბის შეფებმა მწვრთნელად ვისენტე დელ ბოსკეს დანიშვნა გადაწყვიტეს და დაიწყო თანამედროვე „რეალის" ბარაქიანი ხანა.

მშვიდი, უთქმელი და თავმდაბალი კაცის ხელში აღმოჩნდნენ ზინედინ ზიდანი, ლუიშ ფიგუ და რონალდო. პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ფულს არ იშურებდა და შექმნა კიდეც „გალაქტიკოდ" მონათლული გუნდი.

პირველივე წელს ვისენტე დელ ბოსკეს „რეალმა" ჩემპიონთა ლიგა მოიგო, მომდევნო სეზონში — პრიმერადივიზიონი, მერე ისევ ჩემპიონთა თასი და 2003-ში — კვლავ პრიმერა.

ამას დავუმატოთ ესპანეთის (2001) და ევროპის სუპერთასი (2002) და საკონტინენტთაშორისო თასი 2002 წელს.

სულ ვისენტე დელ ბოსკეს ოთხ სეზონში შვიდი ჯილდო გამოუვიდა, მაგრამ ეს ყველაფერი ორიგინალურად დაუფასეს — კლუბის ოფისის „დერეფანში მოხსნეს". ისე, რომ მანამდე მისთვის სიტყვაც არ გაიმეტეს.

2003 წლის 22 ივნისს „რეალმა" „ბილბაოს" ბოლო ტურში მოუგო და 29-ედ გახდა ჩემპიონი. მეორე დღეს კი დელ ბოსკეს გამოუცხადეს, რომ მის ეპოქა დასრულდა.

გაირკვა, რომ „გალაკტიკოში" დაჯგუფებები შეიქმნა და გუნდის კაპიტანი ფერნანდო იერო დელ ბოსკეს ოპოზიციაში ჩაუდგა.

კლუბის პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ მწვრთნელს „გალაქტიკოების" ალვირი ხელიდან გაექცა და ამიტომ მოხსნა.

ვისენტე დელ ბოსკეს 2004-ში ესპანეთის ნაკრების თავკაცობა შესთავაზეს და იუარა, მერე კი „ბეშიქთაშში" წავიდა, საიდანაც ექვს თვეში სკანდალით დაბრუნდა — თურქები კუთვნილ ფულს არ აძლევდნენ. უჩივლა და მიიღო.

შემდეგ მექსიკის ნაკრებში ეპატიჟებოდნენ და წელიწადში 2 მილიონ ევროს აჩეჩებდნენ, მაგრამ უარით გაისტუმრა.

შარშან, „რეალიდან" ფაბიო კაპელოს წასვლას დელ ბოსკეს სახელის ამოტივტივება მოჰყვა, მაგრამ მაშინაც თავი შორს დაიჭირა, დღეიდან კი ახალ საქმეს შეუდგება.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ესპანეთის ნაკრების მეტოქეები არიან ბოსნია, თურქეთი, ბელგია, სომხეთი და ესტონეთი.

პირველი მატჩი დელ ბოსკეს 6 სექტემბერს, მურსიაში ბოსნიასთან ელის.

**გაგა ხუციშვილი**



რაიან გიგზს სელფორდის უნივერსიტეტის ჯილდო გადაეცა

# ვივა აკადემია!

**„მანჩესტერ იუნაიტედის"** ვეტერანი ვარსკვლავი რაიან გიგზი სპორტსა და საქველმოქმედო საქმიანობაში შეტანილი ღვაწლისთვის დააჯილდოვეს. დამჯილდოვებელი გახლავთ სელფორდის უნივერსიტეტი, რომელმაც 34 წლის ფეხბურთელს საპატიო დიპლომი „ლოური თეატრში" გადასცა.

„ფრიად ნასიამოვნები ვარ ამ დიდი დაფასებით" — განაცხადა გიგზმა ერთი შეხედვით გაცვეთილი სიტყვები, მაგრამ თუ ფოტოზე მის სახეს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ფრიად უჩვეულო რამით გახლავთ დაკავებული — ილიმება. შემდეგ, გიგზმა განაგრძო: „ფეხბურთელის კარიერას რომ ვიწყებდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასეთ რამეს ველირსებოდი. მე სელფორდში ვარ გაზრდილი და ამ ქალაქს ჩემს ცხოვრებაში უდიდესი ადგილი უკავია. ახლა კი ორმაგად ბედნიერი ვარ, რადგან უკვე სელფორდის უნივერსიტეტთანაც ვარ მჭიდროდ დაკავშირებული".

სელფორდში გაზრდილი გიგზი უელსის ქალაქ ელიში გახლავთ დაბადებული. მოგეხსენებათ, მან „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში 758 მატჩი ჩაატარა, რაც კლუბის ახალი რეკორდია — წინა რეკორდს ლეგენდარული ბობი ჩარლტონი ფლობდა.

მას მერე, რაც „სელფორდ ბოიზიდან" დიდ ფეხბურთში გადავიდა, „იუნაიტედის" გარემარბმა პრემიერლიგის ჩემპიოის მედლით ათჯერ დაიმშვენა მჭერდი და, გარდა ამისა, ჯილდოების მის კოლექციაში შედის ფეხბურთის ასოციაციის ოთხი თასი, ორი ჩემპიონთა ლიგა და ორიც ლიგის თასი.

**ბაჩუნა ძიძია**

# პასუხს ათ დღეში იტყვის


დიდიე დროგბა

**ტიერნო სეიდი** გახლავთ დიდიე დროგბას აგენტი, რომელმაც თქვა, რომ მისი კოტდივუარელი კლიენტი ათ დღეში გადაწყვეტს, სად უნდა თამაში და რას აპირებს. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, ათასჯერ გვითქვამს და ბარემ ერთხელაც გავიმეორებთ, რომ მას მერე, რაც „ჩელსიდან" პორტუგალიელი მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ გაუშვეს, დროგბამ მოსვენება დაკარგა. მთელი გასული სეზონის განმავლობაში გაზეთები ხანგამოშვებით წერდნენ, რომ თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი „ლურჯთა" კლუბიდან წასვლას თავადაც აპირებს, ბოლო დროს კი ყველაფერმა ძალიან კონკრეტული კონტურები შეიძინა: „ბარსელონა", „მილანი" და „ინტერი" — აი, კლუბები, რომლებიც სპილოს ძვლის ნაპირებზე გაზრდილ ვარსკვლავს თავისთან გადასვლას სთავაზობენ. მაგრამ, ტიერნო სეიდის თქმით, დროგბა შეიძლება „ჩელსიში" დარჩეს.

„დიდიემ საკუთარ თავს ათი დღე მისცა — განაცხადა „ფრანს ფუტბოლისთვის" მიცემულ ინტერვიუში სეიდმა — და ამ ათი დღის შემდეგ თუ არაფერი შეიცვლება, ის „ჩელსისთან" კიდევ ორი წლით გააზანგრძლივებს კონტრაქტს. ის არ დაუშვებს, რომ რამდენიმე დღეში „ჩელსიში" დაიწყოს ვარჯიში, შემდეგ კი, მოულოდნელად ქუდი დაიხუროს და სხვაგან გადავიდეს. გასული წლის ნოემბრის სიტუაციასაც დღევანდელში ნუ ავურევთ. დიახ, დიდიემ თავისი ახლო მეგობრის, ჟოზე მაურინიუს გუნდიდან გაშვება გულთან ახლოს მიიტანა, მაგრამ ბოლო პერიოდში მას ერთხელაც არ წამოცდენია, რომ სხვაგან სურს გადაბარგება".

შეგახსენებთ, რომ „ჩელსის" ახალმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ დროგბას გაშვება შორს დაიჭირა, თქვა, რომ ეს თავდამსხმელი მის გეგმებში ორასი პროცენტით შედის და კლუბის შეფები მისი ხელფასის მთელი 60 ათასი გირვანქით მომატებაზეც დაიყოლია.

**ბაჰუნა ძიდია**

# ძალიან საშიში ინტერი


ამანტინო მანსინი და ჟოზე მაურინიუ

**ბრაზილიელი** ამანტინო მანსინი ოფიციალურად გადაბარგდა მილანის „ინტერში" და თავის ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი ფანებსაც წარუდგინეს და გარემარბმა, რომელიც 1 აგვისტოს 28 წლის ხდება, მოკლე პრესკონფერენციაც მოაწყო.

„ახლახან შევხვდი ჟოზე მაურინიუს, ურთიერთობაში იგი მშვიდი იყო, სასიამოვნო პიროვნება ჩანს და რა დონის მწვრთნელიცაა, ყველამ კარგად ვიცით. ჩვენ ორივენი აქ იმიტომ მოვედით, რომ სხვა ინტერელებთან ერთად სკუდეტო და ჩემპიონთა ლიგა მოვიგოთ. სულაც არავინ რომ აღარ დავიმატოთ, ეს „ნერაძური" უკვე ძალიან საშიში და ძლიერია. ბოლო ორი წლის განმავლობაში აქ გადმოსვლასთან ახლოს ვიყავი, მაგრამ ეს ტრანსფერი ახლაღა შედგა და ბედნიერი ვარ. დიდი მადლობა „რომას" ყველაფრისთვის, რაც გამიკეთა. იქ ხუთი საუცხოო წელი გავატარე" — თქვა მანსინიმ.

„დიამანტინოს" „ნერაძურიში" ოთხი თანამემამულე დახვდა — დუგლას მაიკონი, მაქსველი, ადრიანო და ჟულიო სეზარი. ცხადია, ისინი ამანტინოს ადაპტაციაში დაეხმარებიან.

„ჩემი თანამემამულეების წყალობით, აქ დამკვიდრება და ყველაფერთან შეგუება ერთიორად გამიადვილდება. თუმცა იტალიაში უკვე დიდი ხანია, ვთამაშობ და არა მგონია, სერიოზული პრობლემები შემექმნას. ვწუხვარ, რომ ტრავმის გამო გასულ სეზონში სათანადოდ ვერ ვითამაშე და ქომაგების მოთხოვნები ბოლომდე ვერ დავაკმაყოფილე. თუმცა 13 გოლის გატანა მაინც შევძელი. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ „რომას" ხელმძღვანელობის, ფეხბურთელებისა და ფანებისთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის" — დასძინა მანსინიმ.

**კოკი კანდელაკი**

# მე ვზივარ ნავში...



**ეს სახალისო** ამბავი ჟურნალ FourFourTwo-ს შემწეობითა და სპონსორობით მოხდა: „მანჩესტერ სიტის" თორმეტმა ქომაგმა მეთევზეთა 72-ფუტიანი ნავი დაიქირავა და თავისი საყვარელი გუნდის საქომაგოდ ფარერის კუნძულებისკენ გაცურდა. დღეს „სიტი" ფარერებზე უეფას თასის შეხვედრას ატარებს. მოგზაურობას 26 საათი დასჭირდა.

ტურნე ასე დაიწყო: გულშემატკივრები მანჩესტერიდან აბერდინში გადაიყვანეს, სადაც ნავში ჩასვეს და გზას გაუყენეს.

ხსენებული ქომაგები უკანაც ამავე ნავით დაბრუნდებიან. ეს კვირას მოხდება.

## შიმუნიჩს კაკა შეცვლის

**ბერლინის** „ჰერტას" ხორვატი მცველი იოსიპ შიმუნიჩი ტრავმის გამო გამოტოვებს უეფას თასის პირველი შესარჩევი ეტაპის პირველ თამაშს მოლდოვურ „ნისტრუსთან". მის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს ვინმე კაკა, რომელიც ამ ზაფხულს გადავიდა პორტუგალიური „აკადემიკადან" გერმანულ კლუბში.

## კასტილიო ბლექბერნში

**ეკვადორის** ნაკრების ნახევარმცველი სეგუნდო კასტილიო სამი სეზონით „ბლექბერნის" საკუთრება გახდა. სერბიული „ცრვენა ზვეზდას" 26 წლის ფეხბურთელი „როვერსს" 6 მილიონი გირვანქა დაუჯდა. „იმედი მაქვს, რომ ახალ კლუბში თავს გამოვიჩენ და ინგლისურ ფეხბურთში სხვა ეკვადორელ მოთამაშეებს კარს გავუხსნი" — განაცხადა კასტილიომ.

## კურუვჩი თუ ვალენსია

**სამუელ ეტოო** უზბეკური „კურუვჩის" შემდეგ ესპანურ „ვალენსიასაც" მოუნდა. „ღამურების" ახალი მფლობელი ხუან ვალიალონგა, რომელიც 400 მილიონ ევრომდე ინვესტიციას დებს კლუბში, მზადაა, „ბარსელონას" კამერუნელი თავდამსხმელის სანაცვლოდ 25 მილიონი გამოუყოს.

## კოვაჩს სერია A-ში უნდა

**მოსკოვის** „სპარტაკის" ნახევარმცველი რადოსლავ კოვაჩი უარს არ იტყოდა სერია A-ში თამაშზე. რადოსლავით გენუის „სამპდორიაა" დაინტერესებული. „რატომაც არა? საკმაოდ დიდხანს ვთამაშობ „სპარტაკში", იტალიის ჩემპიონატში გამოსვლა კი ყოველთვის ჩემი ოცნება იყო, თუმცა აქაც საკმაოდ კარგად ვგრძნობ თავს" — აღნიშნა ფეხბურთელმა.

## კამპოს სამშობლო უხმობს

**ინგლისურ** „ბოლტონთან" შეწყვეტილი ხელშეკრულების შემდეგ, ივან კამპო თავისუფალი აგენტის რანგში მოლაპარაკებას მართავს ესპანურ „რეალ სოსიედადთან". „სოსიედადის" ვარიანტი ძალიან მიმზიდველია. ჩემი მშობლები ესპანეთში ცხოვრობენ, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლუბის არჩევისას. ჩემთვის ამ ეტაპზე უმთავრესია, ფეხბურთის თამაში გავაგრძელო, რისთვისაც „სოსიედადზე" უკეთეს კლუბს ვერ ვხედავ" — თქვა ესპანეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა.

## ფეხბურთიდან მღვდლობამდე

**მეიჯორ** ლიგის „ნიუ ინგლენდის" მცველმა ჩეიზ ჰილგენბრინკმა საფეხბურთო კარიერა დაასრულა. ფეხბურთელს მღვდლობა სურს. 28 წლის ამერიკელი მერილენდში კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ სასულიერო სემინარიაში აპირებს ჩაბარებას. „ბოლოს და ბოლოს თვალი ამეხილა და ღვთის ნებით, მღვდლობას ვაპირებ. ძალიან მიყვარს ფეხბურთი, მაგრამ ვხვდები, რომ რაღაც უფრო მნიშვნელოვანი უნდა ვაკეთო" — აღნიშნა ჰილგენბრინკმა.

## ზამორა და პეინტსილი კოტეჯელები გახდნენ

**ინგლისური** „ფულემი" აგრძელებს შემადგენლობის გაძლიერებას. ამჯერად საქმე „ვესტ ჰემის" ყოფილ ფეხბურთელებს, ბობი ზამორასა და ჯონ პეინტსილს ეხება, რომელნიც „კოტეჯელებს" 6,5 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. „ბობი ნიჭიერი თავდამსხმელია, რომელსაც არა მხოლოდ გოლის გატანის სურვილი აქვს, არამედ გამოკვეთილი შემოქმედებიცაა. იგი ჭკვიანურად თამაშობს, მისი თვისებები თავდასხმის ხაზის გაძლიერებაში დაგვეხმარება" — აქო და ადიდა თავისი ახალი შეგირდი „ფულემის" მთავარმა მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა.

## რეინამ დაასრულა

**ამერიკული** „ნიუ იორკ რედ ბულზის" მოთამაშე კლაუდიო რეინა კარიერას ასრულებს. ზურგის ტრავმის გამო 34 წლის გამთამაშებელი 25 მაისის შემდეგ არ გამოჩენილა მინდორზე. რეინამ თავისი საუკეთესო წლები ინგლისურ „მანჩესტერ სიტიში" გაატარა.

## ტონი რჩევებს იძლევა

**მიუნხენის** „ბაიერნის" იტალიელი ვარსკვლავი ლუკა ტონი კლუბის ხელმძღვანელობას შემადგენლობის გაძლიერებას ურჩევს.

„ვფიქრობ, რომ ჩემპიონთა ლიგაში კარგი შედეგების მისაღწევად საჭიროა, შედგეს იმ მოთამაშეთა სია, რომელთაც კლუბის გაძლიერება შეუძლიათ. მწვრთნელის შეცვლასთან ერთად კლუბშიც ბევრი რამე შეიცვლება, თუმცა მზად ვარ, ბოლომდე დავიხარჯო და მივაღწიო მაღალ მიზნებს გუნდთან ერთად" — განაცხადა ტონიმ. შეგახსენებთ, რომ „ბაიერნი" ახალ სეზონს იურგენ კლინსმანის თავკაცობით დაიწყებს.

## ბოლცონის გაუხანგრძლივეს

**მილანის** „ინტერმა" 2012 წლამდე გაუხანგრძლივა კონტრაქტი თავის აღსაზრდელს — ფრანჩესკო ბოლცონის. ფრანჩესკო, რომელიც იტალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია, 11 წლის ასაკში შეიყვანეს „ნერაძურის" საფეხბურთო სკოლაში, ხოლო „ინტერის" ძირითად შემადგენლობაში დებიუტი 2007 წლის 1 თებერვალს, „სამპდორიასთან" იტალიის თასის ნახევარფინალში ჰქონდა.

**არჩილ ძოგახიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაიღვიძეთ, ევროპა სხვანაირია!



პიტერ ჰილ-ვუდი

**სანამ** „არსენალი" „ლივერპულიდან" ესპანელი ხაბი ალონსოს 16 მილიონ გირვანქად გადაბირების გეგმას ამუშავებს, მისმა თავმჯდომარემ პიტერ ჰილ-ვუდმა განაცხადა, რომ დროა, ევროპის საფეხბურთო კლუბებმა მსოფლიო საკრედიტო რეალობას თვალი გაუსწორონ და ფულს ხელი მოუჭირონ — ბატონმა თავმჯდომარემ ფულში იგულისხმა როგორც სატრანსფერო თანხები, ასევე ხელფასები.

„არ მთავრდება ლაპარაკი უზარმაზარ ტრანსფერებსა და უშველებელ ხელფასებზე, ამ დროს კი, როგორც ბრიტანეთში, ასევე მთელ ევროპაში, ფული უწინდელთან შედარებით ძნელად მოიპოვება" — ბრძანა ჰილ-ვუდმა.

გარდა ამისა, „არსენალის" თავმჯდომარემ უკმაყოფილებით აღნიშნა, რომ ბოლო დროს განსაკუთრებით გაბერილი როლი შეიძინეს ფეხბურთელების აგენტებმა, რომლებიც ათასგვარ ტრანსფერს ხლართავენ.

„ალბათ, დროა, ხალხმა გაიღვიძოს და მსოფლიოში შექმნილ ვითარებას შეხედოს. თანამედროვე ცხოვრებაში ფული იოლად აღარ იშოვნება. თანამედროვე ფეხბურთში ისეთ თანხებს ასახელებენ, რომლებიც ჩვენთვის, კლუბებისთვის, კომერციული თვალსაზრისით საინტერესო არ არის".

საუბრის ბოლოს კი ჰილ-ვუდმა მისი გუნდის დღევანდელობასა და მომავალ სეზონზე ილაპარაკა.

„მე მოთმინებით აღსავსე კაცი ვარ და ჩემი კოლეგებიც ასე არიან. და სანამ მოედანზე იმას ვაკეთებთ, რაც სწორად მიგვაჩნია, კმაყოფილები ვართ, თუმცა სახიფათო თავდაჯერებულობასაც არ ვენდობით".

**ბაჩუნა ძიძია**



# ბრიჯი ბრიჯზე დარჩა

**უეინ ბრიჯი** „ჩელსიში" დარჩება და ეშლი კოულს მარცხენა ფრთაზე კონკურენციას გაუწევს — აი, ასეთი ცნობები გამოვიდა ლონდონელი „ლურჯების" ბანაკიდან. როგორც გაირკვა, „ჩელსიმ" ბრიჯს ახალი კონტრაქტი შესთავაზა. ახალი კონტრაქტის ვადა 2012 წლამდე იქნება.

შეგახსენებთ, რომ ბრიჯი ლონდონელებმა „საუთჰემპტონიდან" 7 მილიონ გირვანქად 2003 წელს იყიდეს, მაგრამ უეინი კოულის ჩრდილშია და ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. თუმცა, აი, „სტემფორდ ბრიჯზე" ახალი მწვრთნელი, ბრაზილიელი ლუიშ ფელიპე სკოლარი მივიდა, რამდენიმე ვარჯიშს შეხედა და განაცხადა, რომ უეინი გუნდში ყველაზე ნაღდ პროფესიონალთაგანია. სკოლარის თქმით, მას მოახლოებულ სეზონში ბრიჯისა ფრიად ეიმედება.

„მე „ჩელსიში" ყველაფერი მიყვარს. მიყვარს ფეხბურთელები, კლუბის სხვა თანამშრომლები და გარემო და ამიტომ, ძალიან მიხარია, რომ ოთხ წელიწადს ისევ აქ გავატარებ" — განაცხადა ბრიჯმა, რომელსაც ლურჯი მაისურით სულ 130 თამაში აქვს ჩატარებული.

„სარბიელის" მკითხველს მოეხსენება, რომ ლონდონში ჩასულ სკოლარის თავის განკარგულებაში 32 ფეხბურთელი დახვდა, რაც მწვრთნელს ებევრა და განაცხადა, რომ კონტინგენტს აუცილებლად შეამცირებს. ამბობენ, რომ სეზონის განმავლობაში ბრაზილიელი მწვრთნელი კლუბის საყმაწვილო აკადემიიდანაც შემოაპარებს გუნდში ნიჭიერ ახალგაზრდებს.

„ჩელსიმ" „ქუინზ პარკ რეინჯერსს" ექვსი თვით უკვე მიაქირავა ბენ საჰარი, თუმცა ეს საკმარისი არ არის. ბრაზილიელი მწვრთნელი მოთამაშეთა რაოდენობის 25-მდე შემცირებას ეშურება, ოღონდ, როგორც უკვე მოგახსენეთ, შესამცირებელთა სიაში არ მოჰყვა უეინ ბრიჯი, რომელიც ყველა პარამეტრით ამ სიის მკვიდრი უნდა ყოფილიყო.

ლუიშ ფელიპე სკოლარიმ განაცხადა, რომ მას ბრიჯის თამაშის სტილი ძალიან მოსწონს, კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა კი დასძინა:

„უეინის ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი იმის დასტურია, რომ „ჩელსი" აქცენტს ინგლისურ ფეხბურთელებზე გააკეთებს".

**ბაჩუნა ძიძია**

# აიაქსით შეიარაღებული ვან ბასტენი ტახტისკენ დაიძრა

მარკო ვან ბასტენი (შუაში) და მისი რაზმი



**ჰოლანდიის** ნაკრების ყოფილი მწვრთნელის მარკო ვან ბასტენის კარიერაში ახალი ერა დაიწყო — „აიაქსის" თავკაცმა ორშაბათს პირველი ვარჯიში ჩაატარა.

შეგახსენებთ, რომ ვან ბასტენმა ნაკრებში ოთხი წელი იმუშავა. მსოფლიოს ჩემპიონატზეც (2006) და ევრო 2008-ზეც მისი გუნდი მეოთხედფინალში დამარცხდა.

ექვსი თვის წინ გადაწყდა, რომ ის ზაფხულში „აიაქსს" ჩაიბარებდა და ივლისის დასაწყისიდან საქმეს შეუდგებოდა.

მარკო ვან ბასტენი ერედივიზიონის ტახტიდან პსვ-ს ჩამოგდებას აპირებს, რომელიც ზედიზედ ოთხჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი. „აიაქსმა" კი 1998 წლის შემდეგ მხოლოდ ორჯერ მოახერხა გაპირველება — ბოლოს, 2004-ში.

კლუბში ბევრი ცვლილება მოხდა. პრეზიდენტის პოსტი ური კორონელმა დაიკავა, ტექნიკური დირექტორი კი დანი ბლინდია. „აიაქსს" ახალი სპონსორებიც გამოუჩნდნენ, მაგრამ ქომაგებს ყველაზე მეტად მარკო ვან ბასტენის მისვლა უხარიათ.

„ყოველი მხრიდან დიდ ენთუზიაზმს ვგრძნობ — განაცხადა მწვრთნელმა — ძალიან სასიამოვნოა „აიაქსში" დაბრუნება. აშკარაა, რომ კლუბს ჩემპიონობა მოსწყურდა და მთავარი მიზანიც ეს იქნება".

ვან ბასტენის თანაშემწეებად ჯონ ვანტ სხიპი და რობერტ ვიჩხე იმუშავებენ, რომლებიც ნაკრებშიც ეხმარებოდნენ.

გუნდის ახალწვეულები არიან ფორვარდები, სერბი მირალემ სულეიმანი და ხორვატი დარიო ცვიტანიჩი. სულეიმანში კლუბისთვის სარეკორდო თანხა, 16 მილიონი ევრო გადაიხადეს, ცვიტანიჩში კი შვიდი.

24 წლის ცვიტანიჩი არგენტინაშია დაბადებული და „ბანფილდში" თამაშობდა, სადაც 100 მატჩში 41 გოლი მიითვალა. ჯერჯერობით არც არგენტინის და არც ხორვატიის ნაკრებში არ ეპატიჟებიან, მაგრამ ამბობენ, სლავენ ბილიჩი მის გამოძახებას ახლო მომავალში აპირებსო.

მირალემ სულეიმანიმ „ჰერენვენში" ორი წელი გაატარა და გასულ სეზონში 15 გოლი შეაგდო.

მადრიდის „ატლეტიკოში" გადასული ჯონ ჰეიტინგას შემცვლელად „აიაქსი" ცენტრალურ მცველს ეძებს.

„იაპ სტამის დონის მცველი გვჭირდება — თქვა ვან ბასტენმა — ორი ფორვარდის შეძენით კი ძალიან კმაყოფილი ვარ. შემადგენლობის გასაძლიერებლად ბლომად ფული დაიხარჯა და სწორედ ესაა სიახლე კლუბის სატრანსფერო პოლიტიკაში.

დიდ სამსახურს გაგვიწევს დანი ბლინდი, რომელიც სიამოვნებით დაგვთანხმდა დირექტორობაზე. „აიაქსის" ერთგული ადამიანია და კარგად იცის, რა ხდება ფეხბურთის სამყაროში.

შევეცდებით, რომ უეფას თასზეც კარგად ვითამაშოთ. აქ შესანიშნავად იციან წარმატების ფორმულა: უნდა მოიგო რაც შეიძლება ბევრი მატჩი და შეძლებისდაგვარად ლამაზი ფეხბურთი აჩვენო. სწორედ ამაზე ვიმუშავებთ. მომწონს ეს საქმე, რადგან ფეხბურთელებთან ყოველდღიური ურთიერთობა ძალიან სასიამოვნოა".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბექჰემმა ზიზუ აღიარა

**ინგლისის** „ჰოლივუდელმა" ვარსკვლავმა დევიდ ბექჰემმა განაცხადა, რომ მისთვის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი მადრიდის „რეალში" მისი ყოფილი თანაგუნდელი ზინედინ ზიდანია. როგორც დევიდი ამბობს, ზიზუს გვერდით თამაში მისი ახდენილი ოცნებაა, რომელიც სამ წელიწადს გრძელდებოდა.

ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა თავისი აზრი კიდევ ორ მოთამაშეზე გამოთქვა. ევრო 2008-ის ტრიუმფატორებზე, ბარსელონელ ხავი ერნანდესსა და რეალელ იკერ კასილიასზე.

„ხავი ამ დროისთვის საუკეთესო ესპანელი ფეხბურთელია. რაც შეეხება კასილიასს, იგი ნამდვილად იმსახურებს „ოქროს ბურთს" — თქვა ბექჰემმა.

შეგახსენებთ, რომ უეფამ ახლახან დასრულებული ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ სწორედ ხავი აღიარა. გარდა ამისა, ბექჰემმა უარყო ჭორები იმის შესახებ, რომ იგი მსახიობობას აპირებს და თქვა, მომავალში სიამოვნებით ვიმუშავებ „რეალის" ახალგაზრდულ გუნდშიო.

**არჩილ ძოწახიძე**



# საკონცერტო ციხე-დარბაზი

**ორი წელია, რაც „არსენალი“ „ჰაიბერიდან“ ახალ სტადიონზე გადასახლდა. ამ ხნის განმავლობაში „მეთოფეებმა“ პრემიერლიგაში მხოლოდ ერთი საშინაო თამაში წააგეს. „არსენალის“ დირექტორი და სტადიონის საქმეების გამგე დენი ფიზმენი კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში ციხე-სიმაგრეზე საუბრობს, რომელსაც „ემირეითს სთედიუმი“ ჰქვია**




**— როგორ შეაფასებთ „არსენალის“ მეორე სეზონს ახალ სტადიონზე?**

— მგონი, წინსვლას ვაგრძელებთ. გუნდიც და ქომაგებიც სტადიონით კმაყოფილნი არიან. მატჩების ორგანიზაციის მხრივ პრემიერლიგის სტადიონებს შორის პირველი ადგილი დავიკავეთ გულშემატკივრების გამოკითხვაში. ვფიქრობ, ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ საქმეს კარგად ვაკეთებთ.

**— რა იყო ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი გასულ სეზონში?**

— ალბათ, ნიკოლა სარკოზის სტუმრობა. მან საფრანგეთის საელჩოში კი არა, აქ მოსვლა გადაწყვიტა, რაც ჩვენთვის ძალიან დიდი პატივი და, ზოგადად, შთამბეჭდავი ამბავია.

**— „ემირეითსზე“ მაყურებლის საშუალო რაოდენობა 60 070-მდე გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ ინტერესმა იმატა. ფიქრობთ, რომ ასეც გაგრძელდება?**

— დარწმუნებული ვარ. ვერ ვხედავ მიზეზს საიმისოდ, რომ ინტერესმა იკლოს. სანამ გუნდი ასეთ ლამაზ ფეხბურთს ითამაშებს, სტადიონი სულ გადაჭედილი იქნება და, რა თქმა უნდა, ჯილდოების მოგებასაც ველით.

**— პირველ სეზონში, ახალგაზრდებში ინგლისის თასის მატჩებს 11 და 38 ათასი მაყურებელიც შეუქრებია „ემირეითსზე“. შარშან კი „არსენალის“ ქალთა გუნდის თამაშებს ხუთი ათასამდე ქომაგი ესწრებოდა.** ალბათ, გულშემატკივრებს მხოლოდ ფეხბურთი კი არა, სტადიონიც ხიბლავს.

— ვფიქრობ, რომ „ემირეითსზე“ მოსვლის შანსს არ უშვებს ის ხალხი, რომელიც, მაგალითად, „არსენალის“ თამაშებს ვერ ესწრება და მერე ნებისმიერ მატჩზე სიამოვნებით მოდის. ბევრ ამხანაგურ შეხვედრასაც ვუმასპინძლეთ და გასაყიდი ბილეთი არ დაგვრჩენია. სტადიონის ფაქტორი უდავოა, მაგრამ გულშემატკივარს მაინც ფეხბურთი იზიდავს.

**— პირველ და მეორე სეზონს თუ შევადარებთ?**

— ორგანიზაციაში საუკეთესოები გავხდით პრემიერლიგის კლუბებს შორის, მაგრამ ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ბევრი რამ ვისწავლეთ „ჰაიბერიდან“ გადმოსახლების შემდეგ. ეს იყო წინ დიდი ნახტომი და ვფიქრობ, რომ სტადიონის მენეჯერიდან სტიუარდამდე, ყველა უცბად „გაიზარდა“. პროგრესი არის, მაგრამ უკეთესობისკენ უნდა ვიაროთ.

**— ბოლო ოთხ წელიწადში ბილეთის ფასი პირველად გაიზარდა. მიზეზი?**

— საფეხბურთო ბიზნესში ფული ინფლაციას განიცდის. ეს ფასი რომ შეგვენარჩუნებინა, მერე მკვეთრად გაძვირება მოგვიწევდა. ამიტომაც ახლა ოდნავ მოვუმატეთ. თან, სეზონურ აბონემენტში სათასო და ჩემპიონთა ლიგის მატჩებიც შედის, ასეთი სერვისი კი სხვა ლონდონურ კლუბებს არა აქვთ.

**— კლუბის ხაზინაში სტადიონს რამდენი შეაქვს?**

— ძალიან მნიშვნელოვანია შემოსავლები ტელეტრანსლაციიდან, სტადიონმა კი დაახლოებით 50 პროცენტი მოგვიტანა.

**— ბილეთების გაცვლის სისტემამ გაამართლა?**

— მგონი, კი. თუ ვინმე უბილეთობის გამო თამაშზე ვერ მიდის, ვცდილობთ, რომ ვუშოვოთ ისეთი ქომაგისგან, რომელსაც აქვს, მაგრამ მატჩზე წასვლას ვერ ახერხებს. ეს უნდა გაკეთდეს იაფად და ეფექტურად. არსებობს ფირმები, რომლებიც ასეთ მომსახურებას უწევენ სხვა კლუბებს, მაგრამ მატჩის დღეს ბილეთის ფასს მისი ღირებულების 20 პროცენტს უმატებენ. ჩვენ სხვათა დახმარების გარეშე ვცდილობთ ამ პრობლემის მოგვარებას.

**— სტადიონზე ერთი კონცერტიც გაიმართა. კიდევ რას გეგმავთ?**

— ამ საკითხებზე ვმუშაობთ. ბრიუს სპრინგსტინის კონცერტი მომგებიანი იყო და მომავალ წელს სხვა მომღერალს ვუმასპინძლებთ. რაღა თქმა უნდა, ამხანაგური მატჩებიც გაიმართება. ძალიან გვინდა, რომ ბრაზილიამ ამხანაგური მატჩები ევროპაში ისევ ჩვენთან ითამაშოს.

**— ზაფხულობით „ემირეითსის“ თასის გათამაშება ტრადიციული გახდება?**

— ძალიან გვეიმედება, რომ ტრადიციულ ტურნირად იქცევა. შარშანაც ყველა ბილეთი გაიყიდა და წლეულსაც უკვე გასაღებულია. ფეხბურთს მონატრებული ქომაგი სიამოვნებით მოდის სტადიონზე.

**— რას აკეთებთ საიმისოდ, რომ „არსენალმა“ აქ თავი როგორც საკუთარ სახლში იგრძნოს?**

— ბევრი ვიშრომეთ და მგონი, უკმაყოფილების მიზეზი არ არსებობს. პრემიერლიგაში გუნდმა შინ ორ წელიწადში მხოლოდ ერთხელ წააგო. ეს სტადიონი „არსენალისთვის“ ციხე-სიმაგრესავითაა და გვინდა, რომ ქომაგებსაც შინაური გარემო შევუქმნათ.

**— არსენ ვენგერი განსაკუთრებულ რამეს ხომ არ ითხოვს?**

— მსგავსი არაფერი მახსენდება. საერთოდ მომთხოვნი ადამიანია, მაგრამ სტადიონთან დაკავშირებით პრეტენზიები არ აქვს.

**— მესამე სეზონისგან რას ელით?**

— ოთხ ტიტულს!


# სარბიელი & კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 22:30 | 51 | რიდი-კაფენბერგი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | 19 ივლისი | | | | | | |
| 21:30 | 50 | რაპიდი-აუსტრია კერნტენი | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| | | 20 ივლისი | | | | | | |
| 19:00 | 52 | ლინცერი-აუსტრია | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 21:30 | 53 | ზალცბურგი-ალტახი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 22:15 | 261 | იანგ ბოიზი-ბაზელი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| | | 19 ივლისი | | | | | | |
| 19:45 | 262 | არაუ-სიონი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | 20 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 263 | ლუცერნი-ვადუცი | 1.85 | 3.20 | 3.95 | 1.17 | 1.25 | 1.76 |
| 18:00 | 264 | ქსამაქსი-ციურიხი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 19 ივლისი | | | | | | |
| 13:00 | 61 | ნალჩიკი-კრილია | 2.35 | 2.90 | 2.90 | 1.29 | 1.29 | 1.45 |
| 13:00 | 62 | ზენიტი-ამკარი | 1.60 | 3.20 | 5.75 | 1.06 | 1.25 | 2.05 |
| 13:00 | 63 | ტომსკი-ხიმკი | 1.55 | 3.30 | 6.00 | 1.05 | 1.23 | 2.12 |
| 13:00 | 64 | ლოკომოტივი-სპარტაკი | 2.55 | 2.90 | 2.65 | 1.35 | 1.29 | 1.38 |
| | | 20 ივლისი | | | | | | |
| 13:00 | 65 | ცსკა-მოსკოვი | 1.65 | 3.10 | 5.00 | 1.07 | 1.24 | 1.91 |
| 13:00 | 66 | ენერგია-დინამო | 2.90 | 2.90 | 2.35 | 1.45 | 1.29 | 1.29 |
| 13:00 | 68 | ტერეკი-რუბინი | 3.25 | 3.00 | 2.15 | 1.55 | 1.29 | 1.25 |
| | | **სლოვაკეთი. I ლიგა** | | | | | | |
| | | 19 ივლისი | | | | | | |
| 18:30 | 69 | პეტრჟალკა-ტატრანი | 1.35 | 3.80 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.57 |
| 20:30 | 70 | კოშიცე-რუჟომბეროკი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 21:00 | 72 | სლოვანი-ბ.ბისტრიცა | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 21:30 | 74 | ნიტრა-სტრედა | 1.45 | 3.70 | 6.15 | 1.04 | 1.17 | 2.31 |

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 20 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 71 | ტრნავა-დუბნიცა | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 21:30 | 73 | ჟილინა-ზლატე მორავცე | 1.25 | 5.00 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.21 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 19 ივლისი | | | | | | |
| 19:00 | 77 | რანდერსი-ორჰუსი | 1.95 | 3.40 | 3.70 | 1.23 | 1.27 | 1.77 |
| | | 20 ივლისი | | | | | | |
| 16:00 | 76 | ჰორსენსი-სიონდერიისკე | 1.55 | 4.00 | 5.70 | 1.11 | 1.21 | 2.35 |
| 19:30 | 78 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 2.05 | 3.30 | 3.30 | 1.26 | 1.26 | 1.64 |
| 18:00 | 80 | ნორდსიელანდი-ბრიონდბიუ | 3.80 | 3.40 | 1.90 | 1.79 | 1.26 | 1.21 |
| | | 21 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 75 | კოპენჰაგენი-ესბიერგი | 1.45 | 4.10 | 6.80 | 1.07 | 1.19 | 2.55 |
| | | 23 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 79 | ვეილე-ოდენსე | 4.00 | 3.40 | 1.85 | 1.83 | 1.26 | 1.19 |
| | | იაპონია. J ლიგა | | | | | | |
| | | 17 ივლისი | | | | | | |
| 14:30 | 125 | ურავა-ვერდი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 14:00 | 126 | კაშივა-ომია | 1.80 | 3.40 | 3.75 | 1.17 | 1.21 | 1.78 |
| 14:00 | 127 | კავასაკი-შიმიცუ | 1.95 | 3.40 | 3.30 | 1.23 | 1.22 | 1.67 |
| 14:00 | 128 | ივატა-ნაგოია | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| | | აშშ. MLS | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 04:00 | 138 | კოლამბუსი-კანზასი | 1.75 | 3.40 | 4.30 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| | | ბრაზილია. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 18 ივლისი | | | | | | |
| 03:30 | 153 | ვასკუ და გამა-გოიასი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 03:30 | 155 | კურიტიბა-ფლამენგო | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| | | უეფა. უეფას თასი | | | | | | |
| | | 17 ივლისი | | | | | | |
| 16:00 | 215 | შახტიორი ყარ-დებრეცენი | 3.00 | 3.30 | 2.00 | 1.57 | 1.20 | 1.24 |
| 18:00 | 216 | არარატი-ბელინცონა | 2.50 | 3.10 | 2.50 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 18:00 | 217 | ტობოლი-აუსტრია | 3.40 | 3.25 | 1.90 | 1.66 | 1.21 | 1.19 |
| 19:00 | 218 | რიპო მინსკი-ჟილინა | 2.60 | 3.20 | 2.30 | 1.43 | 1.22 | 1.33 |
| 19:00 | 219 | ოლიმპსი რიგა-სტ პატრიკსი | 4.50 | 3.50 | 1.60 | 1.96 | 1.18 | 1.09 |
| 19:30 | 220 | ჰონკა-აკრანესი | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| 19:30 | 221 | ტვმკ ტალინი-ნორდსიელანდი | 5.00 | 3.60 | 1.50 | 2.09 | 1.15 | 1.05 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 222 | ვეტრა-ვიკინგი | 4.50 | 3.25 | 1.65 | 1.88 | 1.20 | 1.09 |
| 20:00 | 223 | ჰაპოელ ირონი-მოგრენ ბუდვა | 1.45 | 3.75 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.30 |
| 20:00 | 224 | ჰაპოელ თ ა-დოგანა | 1.05 | 9.00 | 21.00 | 1.00 | 1.00 | 6.30 |
| 20:00 | 225 | ლენკორანი-ლეხი | 2.75 | 3.20 | 2.20 | 1.47 | 1.22 | 1.30 |
| 20:00 | 226 | პელისტერ ბიტოლა-აპოელ ნ | 4.30 | 3.40 | 1.65 | 1.89 | 1.19 | 1.11 |
| 20:00 | 227 | სუდუვა-ტნს | 1.45 | 3.75 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.30 |
| 20:00 | 228 | ვოივოდინა-ოლიმპიკი ბაქო | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 20:15 | 229 | მარსახლოკი-სლავენი | 12.00 | 5.50 | 1.15 | 3.77 | 1.04 | 1.00 |
| 21:00 | 230 | ომონია ნიქ-მილანო კუმანოვო | 1.33 | 4.30 | 7.00 | 1.01 | 1.11 | 2.66 |
| 21:00 | 235 | იურგორდენი-ფლორა ტალინი | 1.27 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.09 | 2.88 |
| 21:00 | 236 | დაჩია-ბორაცი | 2.50 | 3.20 | 2.40 | 1.40 | 1.22 | 1.37 |
| 21:30 | 237 | ჩერნო მორე ვარნა-სტ ხულია | 1.06 | 8.00 | 15.00 | 1.00 | 1.00 | 5.21 |
| 21:30 | 238 | უნ ლუქსემბურგი-კალმარი | 10.00 | 5.50 | 1.17 | 3.54 | 1.04 | 1.00 |
| 22:00 | 240 | ბრიონდბიუ-ბ36 ტორსჰავნი | 1.04 | 9.00 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 6.20 |
| 22:00 | 242 | ვადუცი-ზრინსკი | 1.55 | 3.40 | 5.00 | 1.06 | 1.18 | 2.02 |
| 22:15 | 243 | ჰერტა-ნისტრუ | 1.10 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.53 |
| 22:15 | 245 | შიროკი ბრიეგი-პარტიზანი ტირ | 1.60 | 3.50 | 4.50 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| 22:30 | 246 | ბანგორი-მიდტიულანდი | 6.00 | 4.00 | 1.40 | 2.40 | 1.13 | 1.03 |
| 22:30 | 248 | კოპერი-ვლაჟნია | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 22:30 | 249 | ზეტა-ლუბლიანა | 2.40 | 3.20 | 2.50 | 1.37 | 1.22 | 1.40 |
| 22:30 | 250 | ზალცბურგი-ბანანცი | 1.10 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.02 | 4.53 |
| 22:45 | 252 | კლიფტონვილე-კოპენჰაგენი | 7.00 | 4.30 | 1.32 | 2.66 | 1.11 | 1.00 |
| 22:45 | 254 | კორკი-ჰაკა | 2.05 | 3.30 | 3.00 | 1.26 | 1.21 | 1.57 |
| 22:45 | 255 | გლენტორანი-მეტალურგსი | 2.75 | 3.20 | 2.25 | 1.47 | 1.23 | 1.32 |
| 22:45 | 256 | ლეგია-გომელი | 1.27 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.09 | 2.88 |
| 23:00 | 257 | ჰაიდუკი-ბირკირკარა | 1.04 | 7.50 | 20.00 | 1.00 | 1.00 | 5.45 |
| 23:15 | 259 | ჰაფნარფიორდური-გრევენმახერი | 1.13 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.03 | 4.00 |
| 22:00 | 265 | სტრეიმური-სიტი | 20.00 | 9.00 | 1.03 | 6.20 | 1.00 | 1.00 |
| | | უეფა. ევროპის ჩემპიონატი 19 | | | | | | |
| | | 17 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 231 | ჩეხეთი19-საბერძნეთი19 | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 232 | ესპანეთი19-უნგრეთი19 | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 20:00 | 233 | ინგლისი19-იტალია19 | 3.85 | 3.30 | 1.80 | 1.77 | 1.22 | 1.16 |
| 20:30 | 234 | გერმანია19-ბულგარეთი19 | 1.45 | 3.90 | 6.00 | 1.05 | 1.16 | 2.36 |
| | | პოლონეთი. სუპერ თასი | | | | | | |
| | | 20 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 268 | ვისლა-ლეგია | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10215 | შახტიორი ყარ-დებრეცენი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10216 | არარატი-ბელინცონა | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10217 | ტობოლი-აუსტრია | 3.80 | 2.00 | 2.35 | 1.31 | 1.45 | 1.08 |
| 10218 | რიპო მინსკი-ჟილინა | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10219 | ოლიმპსი რიგა-სტ პატრიკსი | 4.90 | 2.10 | 2.10 | 1.47 | 1.47 | 1.04 |
| 10220 | ჰონკა-აკრანესი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10221 | ტვმკ ტალინი-ნორდსიელანდი | 5.20 | 2.10 | 2.00 | 1.49 | 1.44 | 1.02 |
| 10222 | ვეტრა-ვიკინგი | 4.90 | 2.10 | 2.10 | 1.47 | 1.47 | 1.04 |
| 10223 | ჰაპოელ ირონი-მოგრენ ბუდვა | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10225 | ლენკორანი-ლეხი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10226 | პელისტერ ბიტოლა-აპოელ ნ | 4.70 | 2.10 | 2.10 | 1.45 | 1.45 | 1.04 |
| 10227 | სუდუვა-ტნს | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10228 | ვოივოდინა-ოლიმპიკი ბაქო | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10231 | ჩეხეთი19-საბერძნეთი19 | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10232 | ესპანეთი19-უნგრეთი19 | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10233 | ინგლისი19-იტალია19 | 4.25 | 2.00 | 2.20 | 1.36 | 1.44 | 1.04 |
| 10234 | გერმანია19-ბულგარეთი19 | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10236 | დაჩია-ბორაცი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10242 | ვადუცი-ზრინსკი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10245 | შიროკი ბრიეგი-პარტიზანი ტირ | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10248 | კოპერი-ვლაჟნია | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10249 | ზეტა-ლუბლიანა | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10254 | კორკი-ჰაკა | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10255 | გლენტორანი-მეტალურგსი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15215 | შახტიორი ყარ-დებრეცენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15216 | არარატი-ბელინცონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15217 | ტობოლი-აუსტრია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15218 | რიპო მინსკი-ჟილინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15219 | ოლიმპსი რიგა-სტ პატრიკსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15221 | ტვმკ ტალინი-ნორდსიელანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15222 | ვეტრა-ვიკინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15223 | ჰაპოელ ირონი-მოგრენ ბუდვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15225 | ლენკორანი-ლეხი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15226 | პელისტერ ბიტოლა-აპოელ ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15227 | სუდუვა-ტნს | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15228 | ვოივოდინა-ოლიმპიკი ბაქო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15231 | ჩეხეთი19-საბერძნეთი19 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15232 | ესპანეთი19-უნგრეთი19 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15233 | ინგლისი19-იტალია19 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15234 | გერმანია19-ბულგარეთი19 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15236 | დაჩია-ბორაცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15242 | ვადუცი-ზრინსკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15245 | შიროკი ბრიეგი-პარტიზანი ტირ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15248 | კოპერი-ვლაჟნია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15249 | ზეტა-ლუბლიანა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15254 | კორკი-ჰაკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15255 | გლენტორანი-მეტალურგსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11215 | შახტიორი ყარ-დებრეცენი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11216 | არარატი-ბელინცონა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11217 | ტობოლი-აუსტრია | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11218 | რიპო მინსკი-ჟილინა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11219 | ოლიმპსი რიგა-სტ პატრიკსი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11221 | ტვმკ ტალინი-ნორდსიელანდი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11222 | ვეტრა-ვიკინგი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11223 | ჰაპოელ ირონი-მოგრენ ბუდვა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11225 | ლენკორანი-ლეხი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11226 | პელისტერ ბიტოლა-აპოელ ნ | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11227 | სუდუვა-ტნს | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11228 | ვოივოდინა-ოლიმპიკი ბაქო | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11231 | ჩეხეთი19-საბერძნეთი19 | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11232 | ესპანეთი19-უნგრეთი19 | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11233 | ინგლისი19-იტალია19 | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11234 | გერმანია19-ბულგარეთი19 | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11236 | დაჩია-ბორაცი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11242 | ვადუცი-ზრინსკი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11245 | შიროკი ბრიეგი-პარტიზანი ტირ | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11248 | კოპერი-ვლაჟნია | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11249 | ზეტა-ლუბლიანა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11254 | კორკი-ჰაკა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11255 | გლენტორანი-მეტალურგსი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

## ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16215 | შახტიორი ყარ-დებრეცენი | 2.10 | 1.60 |
| 16216 | არარატი-ბელინცონა | 1.80 | 1.85 |
| 16217 | ტობოლი-აუსტრია | 2.30 | 1.45 |
| 16218 | რიპო მინსკი-ჟილინა | 1.82 | 1.82 |
| 16219 | ოლიმპსი რიგა-სტ პატრიკსი | 3.00 | 1.30 |
| 16220 | ჰონკა-აკრანესი | 1.08 | 5.00 |
| 16221 | ტვმკ ტალინი-ნორდსიელანდი | 3.60 | 1.24 |
| 16222 | ვეტრა-ვიკინგი | 3.00 | 1.30 |
| 16223 | ჰაპოელ ირონი-მოგრენ ბუდვა | 1.12 | 4.60 |
| 16225 | ლენკორანი-ლეხი | 1.95 | 1.65 |
| 16226 | პელისტერ ბიტოლა-აპოელ ნ | 2.90 | 1.32 |
| 16227 | სუდუვა-ტნს | 1.12 | 4.60 |
| 16228 | ვოივოდინა-ოლიმპიკი ბაქო | 1.14 | 4.70 |
| 16231 | ჩეხეთი19-საბერძნეთი19 | 1.50 | 2.30 |
| 16232 | ესპანეთი19-უნგრეთი19 | 1.11 | 5.70 |
| 16233 | ინგლისი19-იტალია19 | 2.45 | 1.40 |
| 16234 | გერმანია19-ბულგარეთი19 | 1.12 | 4.60 |
| 16236 | დაჩია-ბორაცი | 1.80 | 1.85 |
| 16242 | ვადუცი-ზრინსკი | 1.17 | 4.10 |
| 16245 | შიროკი ბრიეგი-პარტიზანი ტირ | 1.22 | 3.40 |
| 16248 | კოპერი-ვლაჟნია | 1.12 | 4.60 |
| 16249 | ზეტა-ლუბლიანა | 1.70 | 1.95 |
| 16254 | კორკი-ჰაკა | 1.45 | 2.45 |
| 16255 | გლენტორანი-მეტალურგსი | 1.95 | 1.65 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17215 | შახტიორი ყარ-დებრეცენი | 1.85 | 1.95 |
| 17216 | არარატი-ბელინცონა | 1.85 | 1.95 |
| 17217 | ტობოლი-აუსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17218 | რიპო მინსკი-ჟილინა | 1.85 | 1.95 |
| 17219 | ოლიმპსი რიგა-სტ პატრიკსი | 1.85 | 1.95 |
| 17220 | ჰონკა-აკრანესი | 1.85 | 1.95 |
| 17221 | ტვმკ ტალინი-ნორდსიელანდი | 1.85 | 1.95 |
| 17222 | ვეტრა-ვიკინგი | 1.85 | 1.95 |
| 17223 | ჰაპოელ ირონი-მოგრენ ბუდვა | 1.85 | 1.95 |
| 17225 | ლენკორანი-ლეხი | 1.85 | 1.95 |
| 17226 | პელისტერ ბიტოლა-აპოელ ნ | 1.85 | 1.95 |
| 17227 | სუდუვა-ტნს | 1.85 | 1.95 |
| 17228 | ვოივოდინა-ოლიმპიკი ბაქო | 1.85 | 1.95 |
| 17231 | ჩეხეთი19-საბერძნეთი19 | 1.85 | 1.95 |
| 17232 | ესპანეთი19-უნგრეთი19 | 1.85 | 1.95 |
| 17233 | ინგლისი19-იტალია19 | 1.85 | 1.95 |
| 17234 | გერმანია19-ბულგარეთი19 | 1.85 | 1.95 |
| 17236 | დაჩია-ბორაცი | 1.85 | 1.95 |
| 17242 | ვადუცი-ზრინსკი | 1.85 | 1.95 |
| 17245 | შიროკი ბრიეგი-პარტიზანი ტირ | 1.85 | 1.95 |
| 17248 | კოპერი-ვლაჟნია | 1.85 | 1.95 |
| 17249 | ზეტა-ლუბლიანა | 1.85 | 1.95 |
| 17254 | კორკი-ჰაკა | 1.85 | 1.95 |
| 17255 | გლენტორანი-მეტალურგსი | 1.85 | 1.95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში
(ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | ნკ. | მეტ. |
|---|---|---|---|---|
| 12215 | შახტიორი ყარ-დებრეცენი | 2,5 | 1.65 | 1.85 |
| 12216 | არარატი-ბელინცონა | 2,5 | 1.75 | 1.75 |
| 12217 | ტობოლი-აუსტრია | 2,5 | 1.70 | 1.80 |
| 12218 | რიპო მინსკი-ჟილინა | 2,5 | 1.65 | 1.85 |
| 12220 | ჰონკა-აკრანესი | 2,5 | 1.95 | 1.55 |
| 12221 | ტვმკ ტალინი-ნორდსიელანდი | 2,5 | 1.90 | 1.60 |
| 12222 | ვეტრა-ვიკინგი | 2,5 | 1.70 | 1.80 |
| 12223 | ჰაპოელ ირონი-მოგრენ ბუდვა | 2,5 | 1.65 | 1.85 |
| 12225 | ლენკორანი-ლეხი | 2,5 | 1.65 | 1.85 |
| 12226 | პელისტერ ბიტოლა-აპოელ ნ | 2,5 | 1.65 | 1.85 |
| 12227 | სუდუვა-ტნს | 2,5 | 2.15 | 1.45 |
| 12228 | ვოივოდინა-ოლიმპიკი ბაქო | 2,5 | 1.90 | 1.60 |
| 12231 | ჩეხეთი19-საბერძნეთი19 | 2,5 | 1.65 | 1.85 |
| 12232 | ესპანეთი19-უნგრეთი19 | 2,5 | 1.90 | 1.60 |
| 12233 | ინგლისი19-იტალია19 | 2,5 | 1.75 | 1.75 |
| 12234 | გერმანია19-ბულგარეთი19 | 2,5 | 1.85 | 1.65 |
| 12236 | დაჩია-ბორაცი | 2,5 | 1.70 | 1.80 |
| 12242 | ვადუცი-ზრინსკი | 2,5 | 1.85 | 1.65 |
| 12248 | კოპერი-ვლაჟნია | 2,5 | 1.75 | 1.75 |
| 12249 | ზეტა-ლუბლიანა | 2,5 | 1.70 | 1.80 |
| 12254 | კორკი-ჰაკა | 2,5 | 1.65 | 1.85 |
| 12255 | გლენტორანი-მეტალურგსი | 2,5 | 1.65 | 1.85 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14215 | შახტიორი ყარ-დებრეცენი | 2.20 | 1.70 |
| 14216 | არარატი-ბელინცონა | 1.85 | 1.95 |
| 14217 | ტობოლი-აუსტრია | 2.20 | 1.70 |
| 14218 | რიპო მინსკი-ჟილინა | 2.00 | 1.80 |
| 14219 | ოლიმპსი რიგა-სტ პატრიკსი | 2.50 | 1.30 |
| 14220 | ჰონკა-აკრანესი | 1.08 | 2.90 |
| 14221 | ტვმკ ტალინი-ნორდსიელანდი | 2.50 | 1.30 |
| 14222 | ვეტრა-ვიკინგი | 2.40 | 1.45 |
| 14223 | ჰაპოელ ირონი-მოგრენ ბუდვა | 1.20 | 2.60 |
| 14225 | ლენკორანი-ლეხი | 2.00 | 1.80 |
| 14226 | პელისტერ ბიტოლა-აპოელ ნ | 2.40 | 1.45 |
| 14227 | სუდუვა-ტნს | 1.20 | 2.60 |
| 14228 | ვოივოდინა-ოლიმპიკი ბაქო | 1.30 | 2.50 |
| 14231 | ჩეხეთი19-საბერძნეთი19 | 1.75 | 2.10 |
| 14232 | ესპანეთი19-უნგრეთი19 | 1.20 | 2.60 |
| 14233 | ინგლისი19-იტალია19 | 2.30 | 1.65 |
| 14234 | გერმანია19-ბულგარეთი19 | 1.20 | 2.60 |
| 14236 | დაჩია-ბორაცი | 1.95 | 1.85 |
| 14242 | ვადუცი-ზრინსკი | 1.30 | 2.50 |
| 14245 | შიროკი ბრიეგი-პარტიზანი ტირ | 1.30 | 2.50 |
| 14248 | კოპერი-ვლაჟნია | 1.20 | 2.60 |
| 14249 | ზეტა-ლუბლიანა | 1.85 | 1.95 |
| 14254 | კორკი-ჰაკა | 1.75 | 2.10 |
| 14255 | გლენტორანი-მეტალურგსი | 2.00 | 1.80 |



# ანატოლი ბოისა სახლში ვერ დაბრუნდა და ავიაციაში წავიდა

## კონფლიქტმა ბოისა თბილისში ჩამოიყვანა

ისევე როგორც სპორტის ნებისმიერ სახეობაში, კალათბურთშიც ხდება ხოლმე მწვრთნელსა და მოთამაშეს შორის კონფლიქტები. თუმცა იშვიათად და ისეთი შემთხვევებიც ძნელად გასახსენებელია, მოთამაშეს შუა სეზონში გუნდი დაეტოვებინოს. ასე მოხდა გასულ სეზონში, რეგულარული ჩემპიონატი რომ სრულდებოდა — რუსთავის „ენერჯი-ინვესტის" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე და დაცვის ბურჯი ანატოლი ბოისა გუნდს დაშორდა. მას რუსთაველთა მწვრთნელ დავით უსტიაშვილთან მოუვიდა კონფლიქტი და იძულებული გახდა, სეზონის დარჩენილი პერიოდი უქმად გაეტარებინა. ამას წინათ ბოისამ თავის მშობლიურ გუნდში დაბრუნება სცადა, მაგრამ რუსთაველებმა მიუღებელი პირობები შესთავაზეს და დღეს ის უკვე „ავიამშენის" წევრია. მასთან საუბარიც გასული სეზონის კონფლიქტით დავიწყეთ...

— რა მოხდა, რატომ წამოხვედი „ენერჯი-ინვესტიდან"? თანაც იმ დროს, როცა გადამწყვეტი მატჩები ახლოვდებოდა.

— ჩვეულებრივი კონფლიქტი მოხდა, რის დეტალებზე საუბარი არც მინდა და არცაა ლამაზი. მწვრთნელთან გაუგებრობა მოხდა და დავშორდით. მე მინდოდა გუნდში დარჩენა, მაგრამ აღარ გამოვიდა.

— შენს გარეშე რუსთაველებმა მაინც მოიგეს ჩემპიონობა, მაგრამ შარშანდელთან შედარებით, ცოტა გაუჭირდათ...

— ძალიან გამიხარდა, ენერჯი-ინვესტი" ჩემპიონი რომ გახდა. ამ გუნდის წევრი ვიყავი და იქ მეგობრებიც მყავდა. მოიგეს თუ არა ფინალი, მოედანზე ჩავედი და ბიჭებს ჩემპიონობა მივულოცე.

— სეზონის დამთავრების შემდეგ არ გიცდია გუნდში დაბრუნება?

— რუსთაველი ვარ, აქაური გუნდი ჩემთვის მშობლიურია და, რა თქმა უნდა, ძალიან მინდა „ენერჯი-ინვესტში" თამაში. თუმცა ეს უკვე გამორიცხულია, რადგან ახლახან „ავიამშენთან" გავაფორმე კონტრაქტი.

— თუ „ენერჯი-ინვესტში" გინდოდა თამაში, ხელი რამ შეგიშალა?

— როგორც ვთქვი, გუნდიდან კონფლიქტით წამოვედი და ჩემით ხომ არ მოვიდოდი, აქა ვარ და უკან მიმიღეთ-მეთქი. ერთხელ „ქიმიკოსთა" დარბაზის დირექტორმა სოსო არეშიძემ მითხრა, ძალიან მინდა, რუსთავში რომ ითამაშო და ეგებ დაბრუნდეო. ვუთხარი, თავად ვერ მივალ კლუბში, რადგან თავს დამნაშავედ არ ვთვლი და ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ-მეთქი. შუამავლებად თავად არეშიძე და გუნდის დირექტორი ამირან ხაჩიძე გამიხდნენ, რომლებიც „ენერჯი-ინვესტის" ხელმძღვანელობას ჩემს შესახებ ესაუბრნენ. აღმოჩნდა, რომ გუნდი იმაზე ნაკლები ხელფასის გადახდას აპირებდა ჩემთვის, რასაც შარშან მაძლევდა. რა თქმა უნდა, ძალიან მინდოდა რუსთავში თამაში, მაგრამ ეს პირობა ჩემთვის მიუღებელი და ცოტა არ იყოს, დამამცირებელიც იყო.

— „ავიამშენმა" ალბათ უკეთესი პირობები შემოგთავაზა...

— რა თქმა უნდა და მეც დაუფიქრებლად გადავედი ამ გუნდში. სხვათა შორის, „ავიამშენი" ძალიან სოლიდური გუნდია, ბოლო ოთხი ფინალის მონაწილეა და იქ თამაში ჩემთვის არაა მიუღებელი. სამწუხაროდ, უცხოური ვარიანტი არ გამომიჩნდა.

— ახლა რას აკეთებ?

— ფეხი მაქვს ნაღრძობი, იმ დღეს გადავიბრუნე, „ენერჯი-ინვესტის" დულბებთან რომ ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი. ყოველი შემთხვევისთვის, ფეხი თაბაშირში ჩავისვი და ამ დღეებში მოვიხსნი. ეროვნული ნაკრების შეკრება 25 ივლისს იყო დაგეგმილი და ამ ნატკენი ფეხის გამო გამიხარდა, 31-ში რომ გადაიტანეს.

— ბოლო ოთხი წელია, ნაკრებში შეუცვლელად ხვდები. რას ფიქრობ წლევანდელზე?

— ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, ახალი მწვრთნელი რა ტაქტიკის მიმდევარია. თუ იგორ კოკოშკოვი აქცენტს დაცვაზე გააკეთებს, მაშინ ნაკრებში მოხვედრის შანსი გაცილებით უკეთესი მექნება. ისე, ჩემი აზრით, დაცვა ნებისმიერი მწვრთნელის ამომავალი წერტილი უნდა იყოს და ვფიქრობ, კოკოშოვის შემთხვევაშიც ასე იქნება.

**ირაკლი პერტაია**



# კლასიკური და თავისუფალი ახალგაზრდული

**17-20 ივლისს** სლოვაკეთში, ქალაქ კოშიცეში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება ახალგაზრდებში, როგორც თავისუფალ, ასევე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს შორის.

17 და 18 ივლისს თავისუფლები იჭიდავებენ, ხოლო 19-20 ივლის „ანტიკოსებიც" გაარკვევენ ჩემპიონპრიზიორებს. ევროპის ჩემპიონატის დასრულებიდან ცხრა დღეში ამ ორივე სახეობაში თურქეთში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება ახალგაზრდებს შორის.

სტამბოლის ტურნირზე საქართველოს ორივე ნაკრები თითქმის იგივე შემადგენლობით გაემგზავრება.

**ზურაბ მიგრიაული**

**თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები**

ვლადიმერ ხინჩაგაშვილი (50კგ)
გიორგი მაყიშვილი (60კგ)
გიორგი აბრამიშვილი (66კგ)
გიორგი მარსაგიშვილი (74კგ)
თორნიკე სვანიძე (84კგ)
გიორგი ჩიქოვანი (96კგ)
ლევან ბერიანიძე (120კგ)

**კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ნაკრები**

მინდია წულუკიძე (50კგ)
ჯემალ ხარაბაძე (55კგ)
უჩა შავაძე (60კგ)
ლაშა ლოლაშვილი (66კგ)
არსენ კახაბრიშვილი (74კგ)
გიორგი ლვინიაშვილი (84კგ)
ვასილ იმერლიშვილი (96კგ)
რამინ შაქარაშვილი (120კგ)



# ლევან გორგაძე კატიკოსს უახლოვდება

**ივლისის** ბაშოს მეოთხე დღეს ქართველმა ფალავანმა ლევან გორგაძემ, რომელიც მაკუჩი დივიზიონში ტოჩინოშინის სახელითაა ცნობილი, მე-3 გამარჯვება მოიპოვა. მან აღმოსავლეთის მე-15 მაეგაშირა იოსიკაძეს იორიტაოსით მოუგო და დადებითი ბალანსის, ანუ კატიკოსის ალებას უფრო მიუახლოვდა. შეგახსენებთ, რომ გორგაძე უმაღლესი დივიზიონის ახალბედად ითვლება. უმაღლეს დონეზე მას მხოლოდ გასულ მაისის ბაშოზე უჭიდავია. მომდევნო შეხვედრას ტოჩინოშინი ერთხელ მოგებულ დასავლეთის მე-15 მაეგაშირა კაკიძოესთან გამართავს.

კოკაით წოდებულმა ლევან ცაგურიამ კი მეორე მარცხი იწვნია იორიტაოსით ჯერჯერობით დაუმარცხებელ აღმოსავლეთის მე-11 მაეგაშირა ტოიოძანისგან. ცაგურია მორიგ ორთაბრძოლას აღმოსავლეთის მე-13 მაეგაშირა ტოიოხიბიკისთან ჩაატარებს.

ტოჩიოძანის მსგავსად წაუგებელი სერია აქვთ იოკოძუნა ხაკუხოს და სეკივაკე ამას. ამჯერად ხაკუხომ უვატედასინაკეთი იმარჯვა აღმოსავლეთის მე-2 მაეგაშირა ასასეიკირიუზე. ამამ კი იორიკირით დოხიოდან გაიყვანა დასავლეთის კომოსუბი ტოიონოსიმა.

დიდი ჩემპიონი ასასიორიუ პირველი მარცხის შემდეგ ზედიზედ სამი გამარჯვებით გამოირჩა. მე-4 ორთაბრძოლაში ასასიორიუს მსხვერპლი დასავლეთის მე-2 მაეგაშირა ხოკუტორიკი გახდა. გოროზმა მონღოლმა მეტოქე ოკურიტაოსით დასცა.

მომდევნო ორთაბრძოლას ასასიორიუ დასავლეთის მე-3 მაეგაშირა ტოჩინონადასთან გამართავს, ხაკუხო ხოკუტორიკის დაეჭიდება, ხოლო სეკივაკე ამა ოძეკი ტიეტაიკაის დაუხვდება.

**ზურაბ მიგრიაული**



# მინჟულინას პეკინი დაუმტკიცეს



**ლამის** ყველაზე ხმაურიან სკანდალში გადაიზარდა საქართველოს მოცურავეთა ნაკრების მწვრთნელის ირინა მინჟულინას პეკინის ოლიმპიადაზე წაყვანა-არწაყვანას საკითხი. გუშინ კი გაირკვა, რომ ჩვენი ორი ლიცენზიანტის, ირაკლი რევიშვილისა და ანა სალნიკოვას, პირადი მწვრთნელი პეკინში აუცილებლად გაემგზავრება და ჩინური აუზის კიდიდან გაამხნევებს თავისიანებს.

სკანდალი ერთი კვირის წინ აგორდა, როცა ირინა მინჟულინა ოლიმპიური ნაკრების დელეგაციის სიაში ვერ მოხვდა.

გაუგებრობა დიდხანს არ გაგძელებულა, საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა და სპორტის დეპარტამენტმა საერთო ენა და ფული მალევე გამონახეს, ირინა მინჟულინა ოფიციალურ დელეგაციაში ჩასვეს და შეგირდებს პეკინში გაიყოლებენ.

21 წლის ანა სალნაკოვა და 19 წლის ირაკლი რევიშვილი ოლიმპიადაზე დებიუტანტები იქნებიან და „დიდ აუზში" პირველად გაცურავენ. სხვათა შორის, ირაკლი რევიშვილი ახლა წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელის ზაზა რევიშვილის ვაჟია.

**ბაჩო სვანიძე**

# ქართველების თურქული ხუთიანი

**საქართველოს** მკლავჭიდელთა ნაკრები თურქეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირიდან მე-5 ადგილით დაბრუნდა. ქართველებს სპორტის ამ სახეობაში თავისი სიტყვა ნამდვილად ეთქმით და ეს შედეგი, ცოტა არ იყოს, უფერულად ჩანს.

საქმე იმაშია, რომ ჩვენი ნაკრები თურქეთში საკმაოდ შეთხელებული შემადგენლობით წავიდა. ივნისის ბოლოს გამართულ ევროპის ჩემპიონატზე წამყვანმა ქართველმა მკლავჭიდელებმა ტრავმები მიიღეს და თურქულ ტურნირზე ძალძალაობას მათ დასვენება ამჯობინეს.

ასე რომ, ოსმალეთში უძლიერესისგან ერთობ შორს მდგარი შემადგენლობა გაემგზავრა და გასაკვირიც არაა, ქართველები მოწინავე ადგილების მიღმა რომ დარჩნენ.

ტურნირში სულ 13 ქვეყანა მონაწილეობდა: რუსეთი, უკრაინა, რუმინეთი, ბულგარეთი, სლოვაკეთი, ბელარუსი, უზბეკეთი, შვედეთი, შვეიცარია, ლატვია, თურქეთი, ფინეთი და საქართველო. გუნდური ხუთი ადგილი კი ასე განაწილდა: რუსეთი, თურქეთი, უკრაინა, რუმინეთი და საქართველო.

თურქეთში 15 ქართველი მკლავჭიდელი გაემგზავრა, საიდანაც ტურნირში მხოლოდ ხუთმა მიიღო მონაწილეობა. პირად ჩათვლაში ქართველებმა ასეთი შედეგები აჩვენეს: მე-3 ადგილის მფლობელი გენადი კვიკვინია გახდა, მეოთხეზე ვეფხია სამხარაძე და ჯაბა გეთიაშვილი გავიდნენ, მე-5 კობა მიშველაძე იყო, ხოლო ირაკლი გამთენაძე მე-6 ადგილს დასჯერდა.

ამ დღეებში ჩვენი მკლავჭიდელები ამერიკის შეერთებულ შტატებში იყვნენ მიწვეულნი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ტურნირზე, მაგრამ ტრავმებისა და უსახსრობის გამო ოკეანესგაღმა გამგზავრება ველარ მოახერხეს.

**ირაკლი პერტაია**


სოსო ჯაჭვლიანი


ერეკლე გურჩიანი

# სვანმა სვანი შეახურა

## ქართველებმა ამერიკა მსოფლიოში გაცვალეს

**თურქეთის საერთაშორისო ტურნირიდან საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრები ორი დღის წინ დაბრუნდა. გუშინ კი საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტს სოსო ჯაჭვლიანს დავუკავშირდით და ეს მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით...**

— სანამ თურქეთის ტურნირზე ვიტყოდე, მანამდე ნორვეგიაში გამართული ევროპის ჩემპიონატზე ვთქვათ, რომელმაც რატომღაც ჩვენში რეზონანსის გარეშე ჩაიარა — *გვითხრა სოსო ჯაჭვლიანმა*

— **რა შედეგით დაბრუნდით?**

— ნორვეგიაში ტრავმების გამო რამდენიმე პირველი ნომერი გვაკლდა. მიუხედავად ამისა, ბიჭებმა ივაჟკაცეს და ოქროს მედალი მაინც მოვიპოვეთ. 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში გენადი კვიკინიამ დაგლიჯა. მან ნახევარფინალში რუს მსოფლიოს ჩემპიონს მოუგო, ფინალში კი უკრაინელი დაამარცხა და ევროპის ჩემპიონი გახდა. კვიკინია ცაციებშიც გამოვიდა და იქ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ფინალშიც თავისუფლად შეძლო გასვლა, მაგრამ მცირე ტექნიკური წუნი მოუვიდა და საბოლოოდ მესამე ადგილს დასჭირდა. ცალკე უნდა ვთქვა ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტზე, ერეკლე გურჩიანზე. ერეკლეს ნორვეგიაში ჰაიმორიტი გაუმწვავდა და არ აპირებდა ტურნირზე მონაწილეობას. მაგრამ მე, როგორც სვანმა სვანი სვანურად შევახურე, იმტაზე მოვიყვანე და ერეკლემაც რამდენიმე ბრძოლა მოიგო. მან მსოფლიოს რვა გზის ჩემპიონი, ცნობილი რუსი ოლეგ უზმაჩოვიც დაამარცხა, რომელიც, სხვათა შორის, წარმოშობით ლაგოდეხიდანაა. სამწუხაროდ, გურჩიანმა ავადმყოფობის გამო მეტი ველარ შეძლო და ნახევარფინალში გასასვლელი ბრძოლა წააგო. მიუხედავად ამისა, 24 ნაკრებს შორის მეექვსე ადგილი დავიკავეთ, რაც ჩვენი პირობების და შემადგენლობის გათვალისწინებით ძალიან წარმატებული შედეგია.

— **როგორც ვიცით, თურქეთის ტურნირზე სარეზერვო გუნდით წახვედით...**

— თურქეთში ნაკრების მესამე და მეოთხე ნომრები წავიდნენ, რადგან ჩვენს ძირითად მკლავჭიდელებს ტრავმები ჰქონდათ და შანსი ახალგაზრდებს მივეცით. ბიჭებმა არც აქ შეგვარცხვინეს, გენადი კვიკინიამ მეორე, ვეფხია სამხარაძემ და ჯაბა გეთიაშვილმა მეოთხე, კობა მიშველაძემ მეხუთე, ხოლო ირაკლი გამთენაძემ მეექვსე ადგილი დაიკავეს. საბოლოო ჯამში გუნდური მეხუთე ადგილი ავიღეთ.

— **ამერიკა მკლავჭიდელების ქვეყანაა და იქ საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. როგორც ვიცით,უფულობის გამო ამერიკაში ვერ მიდიხართ...**

— არც მასეა საქმე. მართალია, მწირი ბიუჯეტი გვაქვს, მაგრამ საქართველოს სპორტის დეპარტამენტი ყველანაირად გვეხმარება. გარდა ამისა, კეთილ ხალხს რა გამოლევს. ამერიკის ტურნირს შეგნებულად გამოვტოვებთ. ჯერ ერთი, ბევრი ტრავმირებული გვყავს და მეორეც, გვირჩევნია, იქ წასასვლელი ფული კანადაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამოვიყენოთ. გარწმუნებთ, რომ კანადიდან ოქროს მედლების გარეშე არ დავბრუნდებით. სიტყვა სიტყვაა.

**ბაჩო სვანიძე**






# საქა-რთველო გეორ-გიას გზაზე

**დიდი** შანსია პლაჟის ფრენბურთში პეკინის ოლიმპიადის მეორე ლიცენზიაც ავიღოთ. ჩვენი ქალთა წყვილი, საქა და რთველო მარსელის ეტაპზე ჯერჯერობით კარგად თამაშობს და თუ დღესაც მოიგეს პეკინის ლიცენზიას პრაქტიკულად გაინაღდებენ.

მარსელის ეტაპი, რომელიც ბოლო სალიცენზიო ტურნირია, გუშინწინ საკვალიფიკაციო ეტაპით დაიწყო, თუმც ჩვენებმა გუშინ ითამაშეს, რადგან მაღალი რეიტინგის გამო პირდაპირ ძირითად ბადეში ჩაჯდნენ.

პირველი მატჩი საქა და რთველომ 1:2 ესპანელებთან ალკანთან და მატვეევასთან წააგეს, მაგრამ მერე კანადელებს კუკს და მარტინს მოუმთავრეს საქმე (2:1) და ბრძოლას განაგრძობენ.

კაცებში ჩვენი წყვილი, გეორ და გია ტურნირზე დღეს ითამაშებენ. შეგახსენებთ, რომ გეორ-გიამ უკვე მოიპოვეს პეკინის ლიცენზია, საქა და რთველო კი ჯერჯერობით სალიცენზიო ზონაში ტრიალებენ.

**ბაჩო სვანიძე**



# ბოლტმა 200 სამომავლოდ დაგეგმა

**ფეხმარდმა** იამაიკელმა სპრინტერმა უსაინ ბოლტმა 100 მეტრზე დამყარებული მსოფლიოს რეკორდის (9,72) შემდეგ, 200 მეტრზე სეზონის საუკეთესო შედეგი (19,67) რომ აჩვენა, ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი.

ახალი კი ის გახლავთ, რომ თურმე ბოლტი 200 მეტრის მსოფლიო რეკორდზეც ოცნებობს, თუმც აცნობიერებს, რომ ამის გაკეთება ძალზე ძნელი იქნება.

შეგახსენებთ, რომ 200 მეტრის რეკორდი ლეგენდარულ ამერიკელ მაიკლ ჯონსონს ეკუთვნის და 19,32 წამს შეადგენს.

„მაიკლ ჯონსონის რეკორდის დამხობა ურთულესი საქმეა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ეს რეკორდი მაინც გაუმჯობესდება და ვიმედოვნებ, ამას მე გავაკეთებ — ამბობს ბოლტი და იქვე კონკრეტულ თარიღსაც ასახელებს — მომავალ სეზონში, წლეულს ეს არ მოხერხდება".

# სავინემ დევეცი დასცა

**პეკინის** თამაშებზე სამხტომელ ქალთა შეჯიბრში გვარიანი ომი უნდა გაჩაღდეს. ყოველ შემთხვევაში, ოლიმპიადისწინა ბოლო სტარტები საამისო საფუძველს ნამდვილად იძლევა. დაახლოებით ერთი კვირის წინ იყო, ბერძენმა ხრიზოფიგი დევეციმ 15 მეტრსა და 22 სანტიმეტრზე რომ ისკუპა და სეზონის რეკორდი დაამყარა. ორშაბათს კი ბერძენს მისივე სამშობლოში, კუნძულ კრეტაზე კუბელმა მსოფლიოს ჩემპიონმა იარგელის სავინემ აჯობა და მიანიშნა, სეზონის რეკორდი არ ვიცი, ეს სახეობა ჩემია და პეკინშიც მე უნდა ვიყო პირველიო.

სავინეს დევეცის სეზონის რეკორდამდე ორი სანტიმეტრი დააკლდა, 15 მეტრსა და 20 სანტიმეტრზე გადახტა, ხოლო თავად ბერძენი 14,75 მეტრით დაკმაყოფილდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ორნი ოლიმპიადაზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეიბმებიან და ნუ დავივიწყებთ, რომ რუსებსაც კარგა გრძლად მოხტუნავე ქალებიჰყავთ.

ახლა კრეტაზე ნაჩვენები სხვა რიგიანი შედეგების შესახებ. ბადროს მტყორცნელ კაცთა შორის ყველაფრის ჩემპიონმა ლიტველმა ვირგილიუს ალეკნამ 70-მეტრიანი ბარიერი დამლია და 70 მეტრსა და 86 სანტიმეტრს უწია. მას 2 მეტრითა და 13 სანტიმეტრით ჩამორჩა ესტონელი გერდ კანტერი და სავარაუდოდ, პეკინშიც ეს ორნი იბრძოლებენ პირველობისთვის.

აი, უროს მტყორცნელ კაცთა შორის კი ჩინური ოქროს მოპოვების ყველაზე რეალურ კანდიდატად უნგრელი კრისტიან პერსი ჩანს, რომელმაც შვიდკილოგრამიანი იარაღი ერთხელ კიდევ გადააცილა 80 მეტრს და 81 მეტრსა და 36 სანტიმეტრზე დასცა.

ქალებში სავინეს გარდა თარჯებიან ბილიკებზე მორბენლები უნდა გამოვყოთ. 100 მეტრზე თარჯრბენში 12,62 წამი შედეგით იამაიკელმა დელორენ ენის-ლონდონმა იპირველა, ხოლო 400 მეტრ თარჯებიან გზაზე 54,79 წამით ამერიკელი ტიფანი უილიამსი იყო საუკეთესო.

⛹ ჩოგბურთი ⛹


ლაზარე კუხალაშვილი

# ლაზარეს გრძელი გზა აქვს

**თბილისი. თიხა. საპრიზო 15 000 დოლარი**

**მერვედფინალი**

**მატეო მარსაი (1, იტალია) — შარლ როშე (საფრანგეთი) 6:3 6:2**
**ანდრეი პლოტნი (რუსეთი) — ივან ანიკანოვი (უკრაინა) 6:2 6:3**
**ლაზარე კუხალაშვილი (საქართველო) — მიხალ პაზიჩკი (სლოვაკეთი) 6:3 2:6 6:1**
**ვუ ჰან ნამი (6, სამხრეთ კორეა) — ჰარიტან სოფიანი (სომხეთი) 6:2 6:2**
**ვადიმ ალექსეენკო (უკრაინა) — სიარეი ბიტაუ (ბელარუსი) 6:3 1:6 6:3**
**გვადას საბესკისი (7, ლიტვა) — ალექსანდრ იარმოლა (უკრაინა) 6:3 7:5**
**დევიდ სავიჩი (სერბეთი) — აშოტ გევორქიანი (სომხეთი) 6:0 6:1**
**დენის პავლოვსი (ლატვია) — ნოდარ ითონიშვილი (საქართველო) 6:1 2:6 2:6**

**გუშინ** „ლეილა მესხის აკადემიის კორტებზე“ ITF-ის ეგიდით მიმდინარე კაცთა საერთაშორისო ტურნირის მერვედფინალური შეხვედრები გაიმართა. მერვედფინალს ქართველი ჩოგბურთელებიდან მხოლოდ ლაზარე კუხალაშვილი და ნოდარ ითონიშვილი შემორჩნენ. კუხალაშვილი სლოვაკ მიხალ პაზიჩკის დაუპირისპირდა და საკმაოდ ადვილადაც მოუგო. აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში ლაზარე მშვენიერ ფორმაშია. მან მე-2 რაუნდში ტურნირის მე-3 ნომერი ლადო ჩიხლაძე დაამარცხა და გუშინ სლოვაკ მეჩოგნესაც ადვილად მოუთავა ხელი. ერთი კი იყო, რომ კუხალაშვილმა მეორე სეტში თითქოს „წაუძინა“ და დათმო პოზიციები, მაგრამ მესამე სეტში უკვე შანსი აღარ დაუტოვა მეტოქეს და დამაჯერებლად გაიმარჯვა.

ნოდარ ითონიშვილმა თავის შეხვედრაში საწყისი ხუთი გეიმი თვალის დახამხამებაში აართვა ლატვიელ დენის პავლოვს. შემდეგ ჩვენებური ზურგის ტრავმამ შეაწუხა და ამის გამო ცოტა მოასუსტა მოწინააღმდეგეზე დაწოლა, რის შედეგადაც გეიმის დათმობა მოუწია. საბოლოოდ პირველი სეტი ზურგმტკივანმა ჩაამთავრა — 6:1. მეორე სეტმა პავლოვსის უპირატესობით ჩაიარა. ყველა გეიმში იბრძოდა ითონიშვილი, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყო და საბოლოოდ სეტი 6:2 დათმო.

მესამე გადამწყვეტ სეტში ლითონიშვილი ტრავმასა და დენის პაბლოვსს ერთად ველარ უმკლავდებოდა. საბოლოოდ დამარცხდა და ტურნირს ერთადერთი ქართველი შეატოვა.

**ზურაბ მიგრიაული**

⛹ ხელბურთი ⛹

# შოთა თევზაძე აღიარებას დაეჩვია

**საქართველოს** ხელბურთელთა ნაკრების მეკარე შოთა თევზაძე იტალიაში, ვენეციაში დასრულებული სტუდენტურ მსოფლიოს ჩემპიონატზე საუკეთესო მეკარედ დაასახელეს.

სტუდენტური ჩემპიონატი ჩვენებმა მე-6 ადგილზე დაასრულეს, არადა, შარშან ფინალშიც ითამაშეს, თუმც ამჯერად ჩვენთვის მთავარი შოთა თევზაძის აღიარებაა, ვიდრე ქართველების გაუარესებული შედეგი.



წლევანდელი სეზონი შოთა თევზაძემ შვედეთის ჩემპიონატის უმაღლესლიგელ „მალმიოში“ ჩაამთავრა, საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფსაც ჩამოუსწრო და მშობლიურ „სტუ-თელავს“ საქართველოს ჩემპიონობა მოაპოვებინა და ამ დღეებში რუმინეთის უმაღლესლიგელი „ბაკაუს“ გაუფორმა კონტრაქტი.

სხვათა შორის, შოთა თევზაძე საუკეთესო მეკარედ, გაზაფხულზე თბილისში ჩატარებული „ჩელენჯ კაფზეც“ აღიარეს. იმ ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა ფინალში მოლდოვა დაამარცხა და შოთა თევზაძე სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა.

**გაჩო სვანიძე**

# ინდიანაპოლისში მასპინძლები ზეიმობენ

**ტურნირების** მიმოხილვას ამერიკულ ინდიანაპოლისში დატრიალებული ამბებით დავიწყებთ — მოგეხსენებათ, ამ კვირას კაცები ჰარდზე მხოლოდ აქ ჩოგნაობენ და ამიტომ ამ შეჯიბრს მცირედი უპირატესობა მივცეთ.


ჯეიმს ბლეიკი

პირველმა წრემ ადგილობრივთა გასახარად ამერიკელ მეჩოგნეთა ზეობით ჩაიარა და შემდეგ რაუნდს ბლომად იანკებმა უწიეს. უმთავრესი ჯეიმს ბლეიკის გამარჯვება გახლდათ — მასპინძლებს ამ ბიჭის ყველაზე მეტად ეიმედებათ და თავად ჯეიმსიც საჩემპიონოდ არის შემართული. მით უმეტეს, რომ მან 2006 წელს ინდიანაპოლისში უკვე გასინჯა ჩემპიონობის გემო და გასაკვირი არაა, რომ ისევ უნდა ჯილდოს ზეალმართვა. ამისკენ ბლეიკმა პირველი ნაბიჯი გადადგა და მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ცოტა მძიმედ დაიწყო, მთლიანობაში მაინც დამაჯერებლად დასცა ებრაელი დუდუ სელა.

შემდეგ წრეში ბლეიკს სამხრეთ კორეის წარმომადგენელი ვუნგ სუნ-იუნი ელის, რომელმაც საკმაოდ მოულოდნელად მოუგო კარგი მოწოდების მქონე, მაგრამ სხვა მხრივ უხეირო ავსტრალიელ კრის გუჩიონეს.

მეორე წრეში ასევე გავიდნენ ვარსკვლავზოლიანი დროშის სახელით მოთამაშე შემდეგი მეჩოგნეებიც — ვეტერანი ვინსენტ სპადეა, უეინ ოდესნიკი, ბობო რეინოლდსი და სემ ქუერეი. ნამდვილი სიუპრიზი შემოგვთავაზა აქამდე თითქმის უცნობმა იანკმა რაჯეევ რემმა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ნიუპორტში ზედიზედ მეორედ გაჩემპიონებული ვეტერანი ფაბრის სანტორო გააკრა ბეჭებზე.

ერთმა ამერიკელმა მაინც წააგო — ჯეს ლევაინმა ვერაფერი დაუპირისპირა ტომი ჰაასს. ამერიკელს თავისი შანსები კი ჰქონდა, მაგრამ 9 ბრეიკ პოინტიდან მხოლოდ 1 გამოიყენა და გასაკვირი აღარაა, მარცხს რომ ვერ ასცდა. ჰაასი კი შემდეგ წრეში კიდევ ერთ მასპინძელ, აყლაყუდა ჯონ აისნერს დაეტაკება.

ამერიკიდან ისევ ძველ კონტინენტზე დავბრუნდეთ და ხორვატიულ უმაგს მივაპყროთ მზერა, სადაც ფავორიტები ჯერ კიდევ უქმობენ, მაგრამ ამის მიუხედავად, რამდენიმე საინტერესო შეხვედრა მაინც გაიმართა. უპირველესად მასპინძელთა კერპ ივან ლიუბიჩიჩის მოგება გამოვყოთ, რომელმაც 20 წლის რუს მიხაილ კუკუშკინს ნამდვილი მასტერ-კლასი ჩაუტარა — 6:1 6:2. ხორვატი განსაკუთრებით შთამბეჭდავი საკუთარ მოწოდებაზე იყო, როცა 11-ჯერ ჩააეისა და ამის გარდა თავის პირველ ჩამოწოდებულზე გათამაშებების 100 პროცენტი (!!!) მოიგო.

ლიუბიუჩიჩი უმაგში უკვე მეცხრედ თამაშობს, მაგრამ განსაკუთრებული მიღწევებით მაინც ვერ დაიკვეხნის. არადა, თითქოსდა საკუთარი ტრიბუნების წინ არ უნდა უჭირდეს ჩოგნაობა — თუმც საუკეთესი შედეგი მან აქ 1999 წელს აჩვენა, როცა ნახევარფინალამდე მიბობღდა.

დამაინტრიგებელი ბატალია გაიმართა სამხრეთამერიკელებს შორის — მეცხრე ნომრად განთესილი ჩილელი ნიკოლას მასუ 2004 წლის ჩემპიონს, არგენტინელ გილერმო კანასს დაეჯახა. თავიდან წინ ჩილელი გაიჭრა, მაგრამ კანასმა დროულად მოასწრო საქმის გამოსწორება და მასუ მაინც ორ სეტში მოახრჩო — 7:5 6:2.

ორდღიანი თქეშის შემდეგ, როგორც იქნა, გამოიდარა ავსტრიაში, სადაც დიდი წვალებით ჩაამთავრეს პირველი წრის შეხვედრები. თუმც კიცბიულეში ერთი დიდი ამბავი კორტს მიღმაც მოხდა, როცა პირველ ნომრად განთესილმა ანდრეას სეპიმ ტრავმის გამო თამაში ვერ შეძლო.

იტალიელს კინაღამ უკან მიჰყვა მეორე ნომერი რაინერ შუტლერიც. ორიოდ კვირის წინ უიმბლდონზე თავგამოჩენილი გერმანელი (ნახევარფინალში გავიდა) ძლივს გადაურჩა თანამემამულე ანდრეას ბეკს. შუტლერმა სეტი წააგო და მეორეშიც ბეწვზე გაიარა, მაგრამ ტაიბრეიკზე შეძლო მატჩის ჩარხის შემობრუნება და ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ კი ბეკს კლასის ხარჯზე საქმეც მოუთავა.

აგრძელებს მოგებათა სერიას ხუან მარტინ დელ პოტრო. რამდენიმე დღის წინ შტუტგარტში გაჩემპიონებული აყლაყუდა არგენტინელი, რომელიც ამ მოგების წყალობით რეიტინგში 19 საფეხურით დაწინაურდა და ახლა კარიერის უმაღლეს, 44-ე პოზიციაზე გამაგრებულა, ამჯერად ფრანგ ჟოსელინ ოუანას გაუმკლავდა და მეორე წრეში თანამემამულე სერხიო როიტმანს შეხვდება.

პრობლემები არ ელევა გილერმო კორიას. ამ ერთ დროს მართლაც მაღალი დონის მეჩოგნეს ტრავმებმა ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია და სწორედ ამის გამოა, არგენტინელი ძველი ფორმის აღდგენას რომ ვერ ახერხებს. კორიამ აგერ ახლა მხარი დაიზიანა და ავსტრიელ ალექსანდერ პეიასთან შეხვედრა ვერ ჩაამთავრა.

ქალთა ტურნირებიდან კი სტენფორდზე მოგახსენებთ ერთი-ორ სიტყვას, საიდანაც გუშინ ორი განთესილი დაიფრინეს. ეს უიღბლოები მე-7 და მე-8 ნომრები — ნადია პეტროვა და ფრანჩესკა შიავონე არიან. პირველმა 20 წლის სლოვაკ დომინიკა ციბულკოვასთან დაყარა ფარ-ხმალი — ჩვენში დარჩეს და ამ პატარა გოგოს წლეულს წესად ექცა ბობოლა რუსების გამწარება. შიავონე კი ვეტერანმა კანადელმა ალექსანდრა ვოზნიაკმა დაიფრინა.

**კახა ლომაშვილი**

# ქართველებმა თამაში დაასრულეს

**თუ** თბილისში მიმდინარე კაცთა შეჯიბრს არ ჩავთვლით, ქართველი ჩოგბურთელებისთვის მიმდინარე კვირა უკვე დასრულდა.

ირაკლი ლაბაძე და ანა ტატიშვილი ადრეულად, საკვალიფიკაციო ეტაპებზე გამოაკლდნენ, შესაბამისად, ამერსფორტისა და სტენფორდის ტურნირებს, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო სალომე დევიძემ საერთოდ არ ითამაშა ატლანტაში, ხოლო მაკა ჩახნაშვილი და სოფო ქვაცაბაია პირველივე წრეში დამარცხდნენ, შესაბამისად, იტალიურ ბიელასა და მაროკოს კასაბლანკაში.

ბიელაში ITF-ის ეგიდით 100-ათასიანი ტურნირი ტარდება და ჩახნაშვილმა 1:6 3:6 წააგო მეორე ნომრად განთესილ 27 წლის ესპანელ ლუდრეს დომინგეს ლინოსთან, ვისაც WTA-ს რეიტინგში მეასე ადგილი უკავია. რაც შეეხება ქვაცაბაიას, ის კასაბლანკას 10-ათასიან შეჯიბრზე მე-6 ნომრად იყო განთესილი, მაგრამ პირველივე წრეში იტალიელ ბენედეტა ლავატოსთან შეხვედრისას ტრავმა მიიღო და საწყის სეტში 0:4-ს რომ აგებდა, თამაში შეწყვიტა.

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# ჰონდა წვიმაზე ოცნებობს


როს ბრაუნი

**წლევანდელი**, საკმაოდ გრილი და წვიმიანი ზაფხულის გადამკიდე, პირველი ფორმულის სამყაროს ცხელი და უნალექო სარბოლო უიქენდი მოენატრა.

დამდეგ უქმეებზე „სამეფო მრბოლებს" ჰოკენჰაიმი მასპინძლობს, სადაც გერმანიის დიდი პრიზი გაიმართება და არ არის გამორიცხული, რბოლა კვლავ წვიმიანი გამოვიდეს. ყოველ შემთხვევაში, სინოპტიკოსები მზესა და მშრალ ამინდს ნამდვილად არ ვარაუდობენ და გუნდებიც აქედანვე იჭერენ თადარიგს და სხვადასხვა ამინდისთვის სხვადასხვა ტაქტიკას ამუშავებენ.

სამაგალითოდ, თუნდაც „ჰონდა" გამოდგება. ათიოდე დღის წინ, სილვერსტოუნის ავტოდრომზე, იაპონურმა საჯინიბომ გუნდში როს ბრაუნის მისვლის შემდეგ პირველი პოდიუმი მოიპოვა. კოკისპირულ წვიმაში ბრაუნმა დიდებულად დაგეგმა მთელი რბოლა და ვეტერანმა ბრაზილიელმა რუბენს ბარიკელომაც დროულად გაისროლა — თითქმის სამწლიანი შესვენების შემდეგ პოდიუმს უწია.

ბრაუნი იდეების ნაკლებობას არასოდეს განიცდიდა და გერმანიის დიდი პრიზისთვის მას რამდენიმე ახალი იდეა ჰქონია, რომელთა თაობაზეც მან ჟურნალისტებთან ისაუბრა.

— წინა კვირაში ჰოკენჰაიმრინგზე ჩატარებული ტესტების შემდეგ გადავწყვიტეთ, ახალი აეროდინამიკური და მექანიკური ელემენტები გამოვიყენოთ. ტესტებმა საშუალება მოგვცა, კვალიფიკაციებში ჩვენი ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მიზეზები დაგვედგინა და დარწმუნებული ვარ, უკეთეს სასტარტო პოზიციას დავიკავებთ და შემდეგ რბოლაშიც უკეთესად გამოვალთ. იმ მეტეოპირობების გათვალისწინებით, რასაც სინოპტიკოსები ვარაუდობენ, რბოლა საკმაოდ საინტერესო უნდა გამოდგეს და ჩვენ ამისთვის სპეციალურად ვემზადებით.

ბარიკელოს სილვერსტოუნურმა პოდიუმმა საკუთარი თავის რწმენა განგვიმტკიცა და მოტივაციაც შეგვმატა. რა თქმა უნდა, სისულელეა იმაზე ფიქრი, რომ ასეთ შედეგს მშრალ ამინდშიც მივაღწევდით. სწორედ ამიტომ, სპეციალური გეგმა გვაქვს იმ შემთხვევისთვის, თუ გერმანიაშიც იწვიმებს და ჩვენი შანსების გამოყენებას შევეცდებით.

**კახა ლომაძე**

# ალონსოს მეტი ქულა უნდა

**სეზონის** პირველი ნახევრის შემდეგ ზოგადად „რენო" და კერძოდ ფრანგული საჯინიბოს ესპანელი ლიდერი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო ნამდვილად არ არიან იმ პოზიციაზე, რომელზე ყოფნასაც წლევანდელი ჩემპიონატის დაწყებამდე გეგმავდნენ.

სხვა კუთხით თუ შევხედავთ, გუნდმა ბოლო ხანებში აშკარად მოუმატა და ქულების დაგროვება დაიწყო. გერმანიის დიდი პრიზის წინ ალონსო მისთვის და მისი გუნდისთვის საჭირბოროტო ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრა ჟურნალსტებს.

— საჭიროა ყოველ ეტაპზე მოვუმატოთ და პროგესი გავაგრძელოთ. იმედი გვაქვს, რომ სეზონს კარგად დავასრულებთ და რამდენიმე რბოლაში იქნებ პოდიუმისთვისაც ვიბრძოლოთ. ამ წუთისთვის მოწინავე სამეულს („ფერარი", „მაკლარენ-მერსედესი", „BMW-ზაუბერი") აშკარად ჩამოვრჩებით, მაგრამ სწორი მიმართულებით მივდივართ და ბევრს ვმუშაობთ.

სილვერსტოუნზე, წვიამიან ამინდში, მეტის გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ სამი ქულით დავკმაყოფილდით. ახლა საჭიროა უფრო მეტისთვის ვიბრძოლოთ. ჰოკენაიმური ტესტები ნაყოფიერად ჩავატარეთ და საკმაოდ კარგი ბაზა გვაქვს საიმისოდ, გერმანიის დიდ პრიზზე ქულები რომ მოვიპოვოთ.

ძალზე ბევრი რამ ამინდზეც იქნება დამოკიდებული. მთავარია, შეცდომები არ დავუშვათ და დარწმუნებული ვარ, საკმაო რაოდენობის ქულებს მოვიპოვებთ.

**კახა ლომაძე**



## 95-ე ტურ დე ფრანსი. 5-27 ივლისი

# არვესენის ეტაპი



**ერთდღიანი** შესვენების შემდეგ გუშინ რიგით 95-ე „ტურ დე ფრანსი" განახლდა. მე-11 ეტაპის გზა სამხრეთ საფრანგეთში, პირინეების ზონაში გადიოდა. ამ გზაზე ერთი პირველი კატეგორიის (დე პორტალი, ზღვის დონიდან 1432 მეტრი) და ორი მესამე კატეგორიის მთა იყო.

პირველივე ალმართში პელოტონს თორმეტკაციანი ჯგუფი მოწყდა და რადგანაც ამ ჯგუფში არავინ იყო ისეთი, ყვითელ მაისურაზე პრეტენზია რომ ჰქონოდა, ფავორიტებმა იერიში წაუყრუეს.

დე პორტალის ალმართში გაქცეულთა უპირატესობამ თექვსმეტ წუთს გადააჭარბა და ნათელი გახდა, ეტაპის გამარჯვებული სწორედ ამ ჯგუფში იყო. ფრანგმა ამაელ მოინარმა ერთი პირობა თანამგზავრების უკან ჩამოტოვება მოახერხა, მაგრამ ფინიშამდე ხუთიოდე კილომეტრით ადრე მას მაინც დაეწივნენ. ბოლო კილომეტრებზე კი წინ სამნი გაიჭრნენ — ნორვეგიელი არვესენი, იტალიელი ბალანი და შვეიცარიელი ელმიგერი, რომელთა საფინიშო ბრძოლაში დანიური CSC-ის ნორვეგიელმა მრბოლმა ივარგა და გუნდს წლევანდელ „ტურზე" პირველი გამარჯვება მოუპოვა.

ძირითადმა ჯგუფმა ფინიშს თითქმის 15 წუთის შემდეგ უწია. გენერალური კლასიფიკაციის მოწინავეთა შორის არანაირი ცვლილება არ მომხდარა. ყვითელი მაისურა კვლავაც კედელ ევანსს აცვია.

**მე-11 ეტაპი. ლანემეზანი — ფუა. 167,5 კმ**

| | |
|---|---|
| 1. კურტ ასლე არვესენი (ნორვეგია, CSC) | 3სთ 58წთ 13წმ |
| 2. მარტინ ელმიგერი (შვეიცარია, AG2R) | იგივე დრო |
| 3. ალესანდრო ბალანი (იტალია, „ლამპრე") | იგივე დრო |
| 4. კოოს მორენო (საფრანგეთი, „რაბობანკი") | +2წმ |
| 5. ალექსანდრ ბოჩაროვი (რუსეთი, „კრედიტ აგრიკოლი") | +11 |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | 46სთ 42წთ 13წმ |
| 2. ფრენკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +1წმ |
| 3. კრისტიან ვანდეველდე (აშშ, „ჯერმენ შიპოტლი") | +38 |
| 4. ბერნარდ კოლი (გერმანია, „გეროლშტაინერი") | +46 |
| 5. დენის მენშოვი (რუსეთი, „რაბობანკი") | +57 |

# ველოსამყარომ პრო ტური უარყო მაკუეიდს პირმში ხელში ჩააკვდა

**ველოსიპედისტთა** საერთაშორისო კავშირის (UCI) ირლანდიელი პრეზიდენტი პიტერ მაკუეიდი და მის მიერ ორგანიზებული პრო-ტურს სერია, როგორც ჩანს, საბოლოოდ დამარცხდა დიდ ველოტურებთან („ტურ დე ფრანსი" „ჯირო დიტალია", „ვუელტა") და მათ ორგანიზატორებთან ბრძოლაში.

გუშინწინ, როდესაც „ტურზე" დასვენების დღე იყო, მონაწილე გუნდების ხელმძღვანელებმა კავშირისა და პირადად მაკუეიდისთვის მოიცალეს და განაცხადეს, რომ 2009 წლისთვის პრო-ტურის ლიცენზიების გაგრძელებას არ აპირებენ.


პიტერ მაკუეიდს საქმე სასაცილოდ აღარა აქვს

წლევანდელ „ტურზე" მონაწილე 20 გუნდიდან ჩვიდმეტმა იუარა პრო-ტურის სერია და სავარაუდოდ მათ ყაზახური „ასტანაც" შეუერთდება, რომელიც „ტურზე" ცნობილი მიზეზების გამო არ არის.

პრო-ტურის სერია უშუალოდ მაკუეიდის ინიციატივით შეიქმნა და ირლანდიელის აზრით, ეს სერია სუპერრბოლების ალტერნატივა უნდა ყოფილიყო, მაგრამ UCI-ის შეფმა აშკარად ვერ გათვალა — „ტურთან", „ჯიროსთან" და „ვუელტასთან" დაპირისპირებაში ის თავიდანვე კრახისთვის იყო განწირული, რადგანაც ვერანაირი სერიით ვერ მოხიბლავ მრბოლს ისე, როგორც „ტურ დე ფრანსის" უბრალო ხსენებით.

თანაც პრო-ტურმა წლეულს სხვა რბოლებიც დაკარგა — „პარიზი-ნიცა", „მილანი-სან რემო", „ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი" და კიდევ არაერთი, უაღრესად პოპულარული ერთკვირიანი თუ ერთდღიანი რბოლა წლეულს, სწორედ დიდი ველოტურების ორგანიზატორთა პატრონაჟით ტარდება.

მაკუეიდმა ვერანაირად ვერ მოახერხა ველოსამყაროს გაერთიანება. პირიქით, თავისი გამონათქვამებით ხშირად ამ სამყაროს გახლეჩვას უფრო უწყობდა ხოლმე ხელს და შედეგიც სახეზეა — თავად ველოსამყარომ უარყო თავისი კავშირის პრეზიდენტის უმთავრესი იდეა.

ქვარციტი QUARTZITE

# ლეგიონერული ამბები



გია ლაბაძე

ბადრი ქეთილაძის ფოტო

**ახლა** როდესაც საქართველოს ნაკრების საშემოდგომო ტესტ-მატჩებამდე უქმობს და საფრანგეთის ჩემპიონატშიც პაუზაა, ჩვენი მორაგბეები კლუბიდან კლუბში გადადიან ან კონტრაქტებს ახანგრძლივებენ.

ჯერ კიდევ 1998 წლიდან მოყოლებული, როდესაც საქართველოს ნაკრებს ფრანგი კლოდ სორელი თავკაცობდა, ხოლო რაგბის კავშირს ზაზა ქასრაშვილი ვიცე-პრეზიდენტობდა, ჩვენი ფრანგული ლეგიონი წლიდან-წლამდე იზრდებოდა. ორი-სამი წლის წინ საფრანგეთის ჩემპიონატის ოთხივე ლიგაში 80-მდე ქართველი მორაგბე თამაშობდა და მათი უმეტესობა ამპლუით მორკინალი იყო. ისე, საფრანგეთში უფრო კუნთ-კისერ მაგარ მორკინალებზე, მეტადრე კი შერკინების ბურჯებზეა მოთხოვნა, თორემ „შამპანურივით რაგბის“ მოთამაშე ფეხმარდი უკანახაზელები თვითონაც ბითური ჰყავთ.

ასეა ახლაც. საფრანგეთის ჩემპიონატში მოთამაშე ქართველთაგან ოთხმოცი პროცენტი მორკინალად, ოცი პროცენტი კი უკანახაზელი. დღეს ჩვენი ლეგიონერების იმ სიას გთავაზობთ, რომლებსაც უკვე იპოვეს ახალი კლუბები ან ძველებს გაუხანგრძლივეს კონტრაქტი, თორემ აგვისტოს ბოლომდე, როდესაც ფრანგული კლუბების დედლაინი იწურება კიდევ ბევრი ქართული მიდი-მოდი იქნება.

ჩავხედოთ სიას და ვნახოთ, რომ ახალი სეზონიდან ელიტარულ ფრანგულ ლიგაში ჯერჯერობით 12 ქართველი ითამაშებს და ამათგან ყველა მორკინალია. ელიტარულ დივიზიონს დაუბრუნდა ჩვენების უგამოცდილესი უნივერსალი მორაგბე გია ლაბაძე, რომლის „ტულონიც“ ერთწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ უძლიერესებში ითამაშებს. გია ლაბაძე უნივერსალი კია, მაგრამ რაც „ტულონის“ მწვრთნელად ლეგენდარული ახალზელანდიელი ტანა უმაგა დაინიშნა, მას აქეთ შერკინების მესამე ხაზში ჩაუქობს და ვარსკვლავური შემადგენლობის მიუხედავად გუნდის კაპიტანიცაა.

33 წლის გია ლაბაძე საფრანგეთის ჩემპიონატის ვარსკვლავია და „ტულონში“ ახლახანს გადასული 20 წლის დავით ქუბრიაშვილის თავის გამოცდილებას არ დააკლებს. მომავალ სეზონში კვლავ ვიცე-ჩემპიონის „კლერმონის“ შერკინების ბურჯად იდგება რუსთაველი დავით ზირაქაშვილი, ვინც ლაბაძის დარად საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ვარსკვლავად ითვლება.

„ზირაქას“ ძირითად გუნდში გადაუყვანეს იქამდე, დუბლებში მოთამაშე სიმონ მაისურაძე და დიმიტრი ბასილაია, რომლებიც საქართველოს ნაკრებს საკვანძო მოთამაშეები არიან. წასვლით კი „კლერმონიდან“ გოდერძი შველიძე წავიდა, ოღონდ შორს არა, იქვე ელიტაში, მონტობანელ ახალგაზრდებს ბექა შეყლაშვილის და გიორგი მჭედლიშვილს შეუერთდა.

ჩვენი გოლიათი მამუკა „გულივერა“ გორგოძე, კვლავ მონპელიეს მოახმარს თავის არაამქვეყნიურ ძალ-ღონეს, ხოლო ავთანდილ კოპალიანი და დავით ხინჩაგაშვილი „ბაიონის“ და „ბრივის“ შერკინებას გაამაგრებენ.

საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე ელიტარულ დივიზიონში 11 ქართველი ირაგბებს და ამათგან მხოლოდ ოთხი უკანახაზელია. რაც მთავარია ჩვენმა მელელოვეებმა ირაკლი მაჩხანელმა და მალხაზ ურჯუკაშვილმა ელიტარული კლუბები მოძებნეს.

ჩვენ ლეგიონზე თხრობა რუსეთის ჩემპიონატით დავასრულოთ. მომავალი სეზონიდან რუსეთში დაფუძნებულ რატი ურუშაძეს, საქართველოს ნაკრების ძირითადი რაზმელები დავით კაჭარავა, ლაშა მალაღურაძე შეუერთდებიან. ექვსთვიანი უქმობის შემდეგ რუსეთში ითამაშებს მენაკრებე თემურ სოხაძეც. ხოლო ფრანგული „შალონის“ მორკინალი ბესიკ უდესიანი, „ანდორას“ უკანახაზელი ოთარ ბარკალაია, ქუთაისის „აიას“ და საქართველოს ნაკრების შემტევი ირაკლი „ურაგანა“ ჩხიკვაძე ალბათ დღე-დღეზე გაამრავლებენ ჩვენების „რუსულ დესანტს“.

**ბაჩო სვანიძე**



დავით ზირაქაშვილი

## საფრანგეთი

### ელიტა 1

**კლერმონი**

დავით ზირაქაშვილი (მორკინალი)

სიმონ მაისურაძე (მორკინალი)

დიმიტრი ბასილაია (მორკინალი)

**პასტრი**

აქვსენტი გიორგაძე (მორკინალი)

**მონტობანი**

გიორგი მჭედლიშვილი (მორკინალი)

ბექა შეყლაშვილი (მორკინალი)

გოდერძი შველიძე (მორკინალი)

**მონპელიე**

მამუკა გორგოძე (მორკინალი)

**ბაიონი**

ავთანდილ კოპალიანი (მორკინალი)

**ბრივი**

დავით ხინჩაგაშვილი (მორკინალი)

**ტულონი**

გია ლაბაძე (უნივერსალი)

დავით ქუბრიაშვილი (მორკინალი)

### ელიტა 2

**დაქსი**

ირაკლი გიორგაძე (უკანა ხაზი)

**მეტრო-რასინგი**

გიორგი ჩხაიძე (მორკინალი)

**ლიონი**

გურამ კავთიძე (უკანა ხაზი)

**აჟენი**

ანტონ ფეიქრიშვილი (მორკინალი)

ირაკლი მაჩხანელი (უკანა ხაზი)

**იონაქსი**

დავით აშვეთია (მორკინალი)

**ორიაკი**

მალხაზ ურჯუკაშვილი (უკანა ხაზი)

გიორგი ჟღენტი (მორკინალი)

ლევან დათუნაშვილი (მორკინალი)

**ნარბონა**

გიორგი კუთარაშვილი (მორკინალი)

**ტარბი**

მამუკა მაგრაქველიძე (მორკინალი)

### ფედერალ 1

**დომონი**

ზურაბ მჭედლიშვილი (მორკინალი)

გიორგი ნემსაძე (მორკინალი)

ალექსანდრე მარგველაშვილი (მორკინალი)

**მასი**

ვიქტორ დიდებულიძე (მორკინალი)

დავით დადუნაშვილი (მორკინალი)

შალვა სუთიაშვილი (მორკინალი)

მერაბ კვირიკაშვილი (უკანა ხაზი)

**ლილი**

დავით ბოლღაშვილი (მორკინალი)

სოსო ნიკოლენკო (მორკინალი)

**პერიგო**

თედო ზიბზიბაძე (უკანა ხაზი)

ირაკლი გუნდიშვილი (უნივერსალი)

**შამბერი**

პალიკო ჯიმშელაძე (უკანა ხაზი)

**ორლეანი**

ირაკლი აბუსერიძე (უკანა ხაზი)

**სენ-ნაზერი**

სანდრო ესაკია (მორკინალი)

**შალონი**

ბესო უდესიანი (მორკინალი)

**კაორი**

ლევან მელიქიძე (მორკინალი)

**მორლე (კლერმონი 2)**

ირაკლი ჭყონია (მორკინალი)

**ვილერბანი**

ელიზბარ ყუფარაძე (მორკინალი)

### ფედერალ 2

**პანი**

ბესიკ ხამაშურიძე (უკანა ხაზი)

ილია კახოიძე (მორკინალი)

რევაზ ბელქანია (მორკინალი)

ალექსანდრე მჭედლიშვილი (მორკინალი)

ზვიად მათიაშვილი (მორკინალი)

**ნიცა**

დიმა პავლოვი (უნმვერსალი)

**სენტ-ეტიენი**

შოთა საყვარელიძე (მორკინალი)

## რუმინეთი

**ფარულ კონსტანცა**

ბიძინა სამხარაძე (უკანა ხაზი)

კახაბერ უჩავა (მორკინალი)

იური ნატრიაშვილი (მორკინალი)

გიორგი ხოსიტაშვილი (მორკინალი)

ლაშა თავართქილაძე (მორკინალი)

## რუსეთი

**ენისეი-სიბტიაჟმაში**

რატი ურუშაძე (მორკინალი)

დავით კაჭარავა (უკანა ხაზი)

ლაშა მალაღურაძე (უკანა ხაზი)

**კრასნი იარი**

გიორგი ელიზბარაშვილი (უკანა ხაზი)

თემურ სოხაძე (უკანა ხაზი)

გიორგი ლომსაძე (მორკინალი)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge